ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 13 მაისი 2008 №107 (3331) ფასი 50 თეთრი




# როდის გამჟღავნდება სურათი

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვინაობა წუხელ კი უნდა გარკვეულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, სულ მცირე, კვირის ბოლომდე მოცდა მოგვიწევს.

ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი, მოგეხსენებათ, ახლახან თბილისში იმყოფებოდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მოლაპარაკების შემდეგ თქვა, თქვენს წინადადებაზე პასუხს ერთ კვირაში გეტყვითო.

ერთი კვირა გუშინ გავიდა და ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ბრანკო ივანკოჩივი ერთმანეთს შეეხმიანენ.

მწვრთნელის პასუხი პარასკევამდე გადაიდო. ახალკაცის თქმით, ივანკოვიჩს ამ კვირაში ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა შეხვდება და ბოლო სიტყვაც მაშინ ითქმება.

შესაძლოა, რომ ფედერაციასა და ივანკოვიჩს შორის კონტრაქტი პარასკევსვე გაფორმდეს — ვკითხეთ ფედერაციის პრეზიდენტს და ასეთი პასუხი მივიღეთ — ასე, ალბათ, არ იქნება.

ამასობაში კი ისევ ამოტივტივდა კვიპროსზე მომუშავე თემურ ქეცბაიას კანდიდატურაც. თუმცა ეს, ერთი ხანობა „დამუშავებული“ ვარიანტი, ვფიქრობთ, ვარიანტადვე დარჩება.

ვნახოთ, რა გამოვა. უჩა უგულავა დღეს უეფას წევრი ქვეყნების ფედერაციათა გენმდივნების შეკრებაზე იქნება, ხვალ მანჩესტერში უეფას თასის ფინალს დაესწრება, ზეგ კი სლოვენიურ ლიუბლიანაში ბრანკო ივანკოვიჩს კიდევ ერთხელ დაელაპარაკება. ხორვატ მწვრთნელს ჩვენებთან გარკვეული საკონტრაქტო დეტალები კიდევ ჰქონია შესათანხმებელი.

თავად ბრანკო ივანკოვიჩთან წუხელ შეხმიანება არაერთხელ ვცადეთ, მაგრამ საუბარი არ გამოგვივიდა.

**ძოგა ინასარიძე**

# შეხედავ, ერთია, არადა...
## რა გამოლევს ამ ოხერ კითხვებს

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატმა 19 სეზონი თითქმის მოილია — ერთი ტურიღა დარჩა, რომელმაც ერთადერთ კითხვასლა უნდა გასცეს პასუხი: „ლოკომოტივი“ გავა მე-11 ადგილზე თუ „სპარტაკი“. მოგეხსენებათ, მე-11 ის ადგილია, რომლის დამკავებელიც პლეი ოფში შეხვდება პირველი ლიგის მეორე გუნდს.

ერთადერთი კითხვაო, ვთქვით, მაგრამ საკითხს თუ განვაზოგადებთ, კითხვების მეტი რა გვაქვს...

წინა ტურში გორის „დილამ“ შესვენებიდან მეორე ტაიმის სათამაშოდ მოედანზე გასვლა იუარა, რაკი ფეხბურთელებს ხელფასებს არ უხდიან. გორელთა მთავარი მწვრთნელის თქმით, ადგილობრივმა ბიუჯეტმა კლუბის დაფინანსებაზე უარი განაცხადა. ისე, უცნაურია, თუ კლუბს კერძო მეპატრონე ჰყავს, სახელმწიფო ბიუჯეტი რაღა შუაშია...

ცალკე პრობლემაა უსაფრთხოების უზრუნველყოფა სტადიონებზე და იმედი ვიქონიოთ, ვისაც ამ საკითხის მოგვარება თუ არა, ზედამხედველობა ევალება, მეტ პრინციპულობას გამოიჩენს...

მთავარი კითხვაც: რა ეშველება გარიგებულ თამაშებს, რომლებზეც ამდენი ლაპარაკია...

ამასობაში კი „ბათუმის“ ხელმძღვანელობა ინიციატივით გამოდის, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე გავზარდოთო. ზღვისპირელთა ამგვარი სურვილი სავსებით ახსნადია — რაოდენობის გაზრდა გავარდნილ „ბათუმს“ უმაღლესში ადგილს შეუნარჩუნებს, მაგრამ უფულო და უსტადიონო გუნდისთვის თუ ეს გადარჩენის გზა იქნება, აგერ ჩვენ და აგერ, კლუბის დამფინანსებლები...

მოკლედ, სეზონის დასრულებას ზუსტად ერთი კვირა უკლია, წლობით მოუგვარებელი პრობლემები კი იმდენია, ერთ კვირაში კი არა, ნეტავ ერთ წელიწადში მოაგვაროს ვინმემ...

?




# არ დაიჩაგროს ნიჭი-ერი!

## არველაძეებმა მაღალი საზოგადოება შეკრიბეს

**გუშინ** სასტუმრო „მეტეხში“ აქამდეც უკვე საკმაოდ გახმაურებული ძმებ არველაძეთა ფეხბურთის საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია შედგა.

„ფონდი არველაძე“ — ეს არის ის, რაც რევაზ, შოთა და არჩილ არველაძეებმა დააფუძნეს, ხელმძღვანელებიც, ცხადია, თავადვე იქნებიან და როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ.

არველაძეებს „მეტეხშიც“ ბევრი სტუმარი ჰყავდათ — მინისტრები, პარლამენტარები, თბილისის მერი. იქ იყვნენ შოუ-ბიზნესისა და საფეხბურთო სამყაროს ცნობილი სახეებიც... საღამო, რომელსაც ცოცხალი მუსიკაც ახლდა, სოფო თავართქილაძესა და პაატა ბურჯალიანს მიჰყავდათ, თავიანთი სიტყვა და კეთილი სურვილები კი რევაზ და არჩილ არველაძეების გარდა, „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე ნიკოლოზ ენუქიძემ, კულტურის სპორტისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა ვაჩეიშვილმა და ვეტერანმა ფეხბურთელმა მურთაზ ხურცილავამ გამოთქვეს. ხოლო შოთა არველაძე სტუმრებს ვალენსიიდან მოგვესალმა და ფონდის სამომავლო საქმიანობაზეც თქვა. სხვათა შორის, „ფონდი არველაძის“ გენერალური პარტნიორი სწორედ „საქართველოს ბანკი“ იქნება. უკვე ამუშავდა „ფონდი არველაძის“ ვებ-გვერდი: www.arveladzefund.com — ამ მისამართზე მიიღებთ დაწვრილებით ინფორმაციას ფონდის შესახებ.

რევაზ არველაძე: „საქართველოში კვლავ ბევრი ხელმოკლე ოჯახია და ძალიან მინდა, ასეთი ოჯახიდან გამოსული ნიჭიერი ბავშვები არ დაიჩაგრონ. ფეხბურთი ყველასია — ჩვენი ფონდი ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პრინციპი არ დაირღვეს“.

შოთა არველაძე: „ქართული ფეხბურთის უზარმაზარი სიყვარული რომ არა, ეს ფონდი არ შეიქმნებოდა. ჩვენი ფონდი თავისებური ტრამპლინი იქნება ნიჭიერი ფეხბურთელებისთვის. საფეხბურთო განათლება და ფილოსოფია — ამის გარეშე წინსვლა შეუძლებელია და ყველანაირად ვეცდებით, რაც შეიძლება მეტ ნიჭიერ ქართველს დავეხმაროთ“.

არჩილ არველაძე: „ფონდის პრიორიტეტი ახალგაზრდა ფეხბურთელების დახმარებაა. ნიჭიერი ახალგაზრდები მაქსიმალურად უნდა დაიხარჯონ და მათ ამაში ყველანაირად დავეხმარებით. ჩვენ ვზრუნავთ მომავალზე“.

ორიოდ სიტყვით კი „ფონდი არველაძის“ მიზანზე ვთქვათ: ფონდი ნიჭიერი, პერსპექტიული და როგორც რევაზ არველაძემ აღნიშნა, ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული ბავშვების მაქსიმალურად ხელშემწყობი იქნება. ფეხბურთელების და მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ფონდი მსურველების უცხოეთში მივლინებასა და ბავშვთა გუნდების უცხოურ ტურნირებზე მონაწილეობას უზრუნველჰყოფს. „ფონდი არველაძე“ ნიჭიერ მოზარდებს სტიპენდიებით წაახალისებს, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს კი იურიდიულ კონსულტაციას გაუწევს.

ფონდის პროგრამაში მოსახვედრად „ფონდი არველაძე“ მხოლოდ სპეციალისტთა რეკომენდაციებს განიხილავს. ფონდში დასაქმებული პროფესიონალები კი დამოუკიდებლად მიიღებენ გადაწყვეტილებებს დაინტერესებულ ფეხბურთელთა და მწვრთნელთა შესახებ.

მოკლედ, „ფონდი არველაძე“ ბევრი სასიკეთო საქმისთვისაა მოწოდებული და ჩვენ წარმატებული საქმიანობა ვუსურვოთ. ფონდის პირველი ნაბიჯი კი 3 ივნისს შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილება იქნება, გაცილება რომელიც დიდ, ჩვენში აქამდე არნახულ საფეხბურთო სანახაობად იქცევა.

**კობა ინასარიძე**

# ყვითელი VS ლურჯი

## ამერი დასავლეთია, ზესტაფონი აღმოსავლეთი

**16 მაისს** საქართველოს თასის ფინალია, რომელშიც ბოლო სამი წელია, ერთმანეთს „ამერი“ და „ზესტაფონი“ ხვდებიან.

შეგახსენებთ, ფინალი „ეროვნულზე“ 20 საათზე გაიმართება. ცნობილია ისიც, რომ გულშემატკივრები ტრიბუნებს გაიყოფენ — „ამერის“ ქომაგები დასავლეთზე დასხდებიან, „ზესტაფონის“ ქომაგები კი აღმოსავლეთზე.

გასარკვევი იყო, ვინ „ისარგებლებდა“ მასპინძლის სტატუსით და გუნდები რა ფერის ფორმებს ჩაიცმევდნენ საფინალოდ.

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში კენჭისყრა გაიმართა და „მასპინძლობა“ „ამერს“ ერგო. თბილისელები ყვითელი მაისურებით, თეთრი შორტებით და ყვითელი გეტრებით ითამაშებენ, „ზესტაფონის“ ფორმა კი მთლიანად ლურჯი იქნება.

ახლა გუნდები სეზონის მთავარი მატჩისთვის ემზადებიან და გაირკვა ისიც, რომ მატჩის წინა დღეს „ეროვნულზე“ „ამერი“ 18 საათზე ივარჯიშებს, ერთი საათით გვიან კი — „ზესტაფონი“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



„ამერი“ — „ზესტაფონის“ ბოლო ფინალის ბედი დიმიტრი ტატანაშვილის ამ გოლმა გადაწყვიტა

# პლაჟელთა უილბლო დაბადება

**ესპანეთის** ქალაქ ბენიდორმში დაწყებულ პლაჟის ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ახალშექმნილმა საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი გამართა და პორტუგალიასთან 3:15 განადგურდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 17-27 ივლისს, საფრანგეთის ქალაქ მარსელში ჩატარდება.

**ბახა შალამბერიძე**

## ინგლისი

I ლიგა. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. I მატჩი

ლიდსი 1:2 კარლაილი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVII ტური

ბასტია 1:2 რეიმსი
ბრესტი 3:0 ბულონი
კლერმონი 1:0 ლე ავრი
დიჟონი 1:3 ანჟერი
გრენობლი 0:0 შატორუ
გენიონი 1:2 მონპელიე
ლიბურნი 2:5 ამიენი
ნანტი 1:1 გენგამი
ნიორი 2:0 აიაჩო
ტრუა 0:1 სედანი

## ჰოლანდია

საუეფასთასო პლეი ოფი ფინალი. საპასუხო მატჩი

ბრედა 2:2 ჰერენვენი (0:2)

## დანია

სუპერლიგა. XXX ტური

რანდერსი 2:1 ნორდსიელანდი
ესბიერგი 3:2 მიდტიულანდი
ვიბორგი 3:2 ლიუნგბიუ
კოპენჰაგენი 4:0 ოლბორგი

I დივიზიონი. XXV ტური

სკივე 2:1 ფკ ორჰუსი
ფრემი 3:4 ჰელერუპი
იოლსტიკე 0:4 ჰვიდოვრე
კიოგე 1:3 ფრედერისია
ნესტვედი 1:3 სილკებორგი
ნიკიობინგი 1:0 კოლდინგი
სიონდერისკე 2:1 ჰერფიოლგე
ვაილე 2:1 აკადემისკი

## შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

გაის 3:0 იორებრო
ჰამარბი 2:1 გეფლე
სუნდსვალი 2:1 ჰალმსტადი
ელფსბორგი 3:0 გიოტებორგი

სუპერეტა. V ტური

ენჩიოპინგი 1:4 ანგელჰოლმი
ჰეკენი 3:1 ვასბი

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური

ლაჰტი 0:1 ინტერი
ჰაკა 1:1 ტამპერე
ჰიკ 0:0 კუოპიო
კტპ 0:0 ვაასა
ტურკუ 2:1 ჰონკა

## შვეიცარია

ჩელენჯლიგა. XXXIV ტური

კონკორდია 2:0 შაფჰაუზენი
ბელინცონა 4:1 ლუგანო
ჩამი 2:6 ვილი
კიასო 0:0 ვადუცი
კრინსი 2:1 სერვეტი
შო დე ფონი 2:3 ლოკარნო
ლოზანა 2:0 ივერდონი
ვინტერთური 1:0 დელემონი
ვოლენი 0:1 გოსაუ

# დილას სამარცხვინო დაფა

## ზურაბ ხორგუაშვილი: ეს ბავშვები ვაი-გულშემატკივრებისგან იმართებოდნენ

გორის „დილას“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნა რამდენიმე ტურის წინ გადაწყდა, გუშინწინ კი შიდაქართლელმა ფეხბურთელებმა ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩი შეწყვიტეს. ითქვა, მიზეზი უფულობაა, კლუბის ხელმძღვანელობა არავითარ ყურადღებას აღარ გვაქცევს, უხელფასოდ როდემდე ვითამაშოთო. ისე, უხელფასოდ თამაში ქართულ რეალობაში არცთუ იშვიათი ხილია, მაგრამ მატჩის შეწყვეტა... სიტუაციაში უკეთ გასარკვევად „დილას“ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ხორგუაშვილს დავუკავშირდით...



ბადრი ქეთიშვილის ფოტო

— ეს იყო უგუნური საქციელი ფეხბურთელებისგან. მწვრთნელი ვარ და ჩემი თხოვნაც არ გაითვალისწინეს, შეარცხვინეს გორული და მთლიანად შიდაქართლური ფეხბურთი. ერთი თვე კი არა, 10 წელიწადი მითამაშია უხელფასოდ...

**— როდიდან არ აქვთ ფეხბურთელებს ხელფასი?**

— როდესაც ჩვენი უმაღლესი ლიგიდან გავარდნა გადაწყდა, კლუბის ხელმძღვანელობამ გამოგვიცხადა, რომ დაფინანსებას წყვეტდა. გეცოდინებათ, ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გვაფინანსებდნენ. ფეხბურთელებს გამოვუცხადე, რომ ასეთ მდგომარეობაში, ანუ დროებით უხელფასოდ დარჩენა ვისაც აწყობდა, დარჩენილიყო გუნდში, ვისაც არ აწყობდა, წასულიყო. ნაწილი მართლაც წავიდა, დარჩნენ გორელი ბავშვები. ისინი ასე არ უნდა მოქცეოდნენ საკუთარ გულშემატკივარს. თუმცა აქ გარეშე ძალები იყვნენ ჩარეულნი — ვაი-გულშემატკივრები.

— კი, მაგრამ გულშემატკივრებს, თუნდაც ვაი-გულშემატკივრებს, რაში აწყობდათ თამაშის ჩაშლა?

— არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ მათ ეს ბავშვები წააქეზეს.

— დროებით უხელფასოდ დარჩენა ახსენეთ. ანუ, თანხა მაინც არ დაეკარგებოდათ ფეხბურთელებს და გვიან მიიღებდნენ?

— შესაძლოა, ასეც ყოფილიყო. წესით, 20 მაისს უნდა აეღოთ ხელფასი, თუმც ამის შანსი ნაკლები იყო. ფეხბურთელებს მაინც არ ჰქონდათ უფლება, ასე მოქცეულიყვნენ. თითიდან გამოწოვილი რაღაც მოიმიზეზეს. „სპარტაკთან“ მატჩამდე 20 წუთით ადრე ბიჭებისგან არავითარი პრეტენზია არ ყოფილა, მაგრამ მერე...

— ესე იგი, თამაშის დაწყებასაც უარობდნენ?

— დიახ. ძლივს დავიყოლიე ფეხბურთელები, მაგრამ შესვენებაზე ველარაფერს გავხდი.

— ახლა რა ელის „დილას“?

— არ ვიცი. პირველ ლიგაში ვიქნებით და იმედია, ისევ გადმოვალთ უმაღლესში. ამბობენ, დაფინანსება იქნებაო.

— „დილას“ ხომ ბიზნესმენი მიხეილ ლურსმანაშვილი პატრონობს?

— არა. ის კლუბის ფიქტიური პრეზიდენტია. რამდენი ხანია, არც გაგვკარებია. ისეთი სიტუაციაა, რომ გუნდში მწვრთნელიც მე ვარ და ხელმძღვანელიც.

— ერთი თამაში დაგრჩათ უმაღლეს ლიგაში — „დინამოსთან“ იმ ფეხბურთელებს აღარ ათამაშებთ, რომლებმაც „სპარტაკთან“ თამაში შეწყვიტეს?

— რა თქმა უნდა, არა. ამ ფეხბურთელებმა კლუბი შეარცხვინეს. ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მათ ერთი-ორი წელი საერთოდ უნდა აუკრძალო თამაში. სხვებს ვათამაშებთ. ჭაბუკთა ლიგაში ნორმალური გუნდი გვყავს.

**ილია ნანობაშვილი**



ბადრი ქეთიშვილის ფოტო

## დილას შარესად დაუღამდება?

**გორის** „დილას“ სერიოზული სანქციები ემუქრება: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ხვალ საბოლოო განაჩენს გამოიტანს და, როგორც ამბობენ, შესაძლოა, კლუბი მიმდინარე ჩემპიონატიდან მოკვეთონ, პლუს, იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც „სპარტაკთან“ თამაშის გაგრძელება იუარეს, სოლიდური დისკვალიფიკაცია გამოუწერონ — ლაპარაკია 6-თვიან ვადაზე.

შეგახსენებთ: „დილამ“ კვირას ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩი პირველი ტაიმის მერე შეწყვიტა, ფეხბურთელებმა ამ ფორმით გამოხატეს პროტესტი უხელფასობის გამო.

**ილია ნანობაშვილი**



## სანამ საქართველო, მანამ ბოსნია სტუკალოვმა 18 დათვალა

**რუსეთის** ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბორის სტუკალოვმა 24 მაისს ბოსნიასთან მოსკოვში გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სია დაასახელა.

სტუკალოვმა არჩევანი შემდეგ 18 ფეხბურთელზე შეაჩერა:

***მეკარეები:*** *სოსლან ჯანაევი (სპარტაკი), ანტონ შუნინი (დინამო);*

***მცველები:*** *კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), ვიქტორ სტროევი (მოსკვა), ფიოდორ კუდრიაშოვი (სპარტაკი), ანდრეი ივანოვი (სპარტაკი), დმიტრი იატჩენკო (ნალჩიკი), სერგეი ცუკანოვი (სპორტაკადემკლუბი);*

***ნახევარმცველები:*** *ივან ტარანოვი (კრილია სოვეტოვი), ოლეგ ივანოვი (კრილია სოვეტოვი), ვიქტორ ფაიზულინი (ზენიტი), დმიტრი კომბაროვი (დინამო), ალექსანდრ რიაზანცევი (რუბინი), ალექსეი რებკო (რუბინი), ივან სტარკოვი (ამკარი);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსანდრ სალუგინი (კრილია სოვეტოვი), ფედორ სმოლოვი (დინამო), ნიკოლაი ჟილიაევი (ამკარი).*

შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ტრავმირებულები: კირილ კომბაროვი, ლუკანჩენკოვი, კოჟანოვი, შიშკინი, ეფიმოვი, გრანატი და პარშივლიუკი. გარდა ამისა, სტუკალოვს ნაკრებში არ მიუწვევია სამსონოვი, კაჟაროვი, დზიუბა, ნაგუმანოვი, გოლიშევი და ლებედევი, რომლებიც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები არიან.

2009 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუსეთის ნაკრები ჩვენი მეტოქეა და საინტერესოა, რომ რუსებმა ამ ტურნირში ერთადერთი მარცხი შარშან 20 ნოემბერს თბილისში იწვნიეს პეტარ სეგრტის გუნდთან (0:2).

ამ გუნდების მეორე შეხვედრა, 5 სექტემბერს მოსკოვში შედგება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ ჯგუფის ლიდერი ესპანეთია (12 ქულა), მეორეზე მყოფ რუსებსაც 12 ქულა აქვთ, მესამე-მეოთხეადგილოსან პოლონეთს და საქართველოს 6-6, აუტსაიდერ ყაზახეთს კი 3.

**ბახა შალამბერიძე**

# როცა მატარებელი ჩავლილია...

## ბათუმი ისტორიულადაც გავარდა

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. დღემდე მას ორი მუდმივი ბინადარი ჰყავდა — თბილისის „დინამო“ და „ბათუმი“, ამიერიდან კი დუეტს „ბათუმი“ გამოაკლდება. ზღვისპირელებმა უკვე დატოვეს უმაღლესი და სამგაისოდ პირველ ლიგაში მოუწევთ თამაში.

საპირველლიგოდ „ბათუმს“ ძველი ნაცნობობა დახვდება — ქუთაისის „ტორპედო“, ფოთის „კოლხეთი“, „სამტრედია“.

თუ ქართული ფეხბურთის ისტორიას გადავხედავთ, ამ გუნდებს ჩვენს ფეხბურთში კარგა მოზრდილი სიტყვა უთქვამთ, არაერთი ღონიერი სეზონი უჩუქებიათ გულშემატკივრებისთვის, მაგრამ ახლა სხვა დროება უდგათ.

ერთი მხრივ, პირველი ლიგის ცხრილში უცხო რომ ჩაიხედავს, იფიქრებს, ესენი თუ აქ არიან, უმაღლესში უფრო მაგარი გუნდები ყოფილან, ქართული საკლუბო ფეხბურთის დონე ამაღლებულაო. არა, ბატონო, კი არ ამაღლებულა, ამ გუნდებმა ვერ მიხედეს თავიანთ თავს და იმიტომაც ყურყუტებენ ქვედა ლიგაში.

თქვენც ასე დაგემართათ, ბათუმელებო, ვერ მიხედეთ გუნდს და... სამწუხაროდ, მათ შეუერთდით...

„თქვენი, ჟურნალისტების მხარდაჭერა გვჭირდება, რეფორმაა გასატარებელი, რათა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდოს. არ შეიძლება, უმაღლეს ლიგაში ბათუმის, ფოთის, ქუთაისისა და გორის გუნდები არ თამაშობდნენ და ისეთი ქალაქების კლუბები გამოდიოდნენ, სადაც ფეხბურთელები არ იზრდებიან. საქართველოს ჩემპიონატი თბილისისა და სოფლების პირველობად იქცა“ — გვითხრა გუშინ „ბათუმის“ გუნდის უფროსმა თამაზ ცინარიძემ.

ჩვენც გული გვწყდება, ამ ქალაქებში ფეხბურთი რომ მოკვდა, მაგრამ ყველამ თავის თავს დააბრალოს. ჩვენ რა უნდა ვუთხრათ ფეხბურთის ფედერაციასა და პროფესიული ფეხბურთის ლიგას, გაზარდეთ გუნდების რაოდენობა 16-მდე, შემოყარეთ უმაღლესში უფულო და უსტადიონო გუნდებიო?! თუკი იმ „სოფლის“ გუნდებმა გამონახეს ფინანსები და გარანტიები, თქვენ არ შეგეძლოთ, იგივე გაგეკეთებინათ და ერთი ნორმალური გუნდი გყოლოდათ?! თქვენ არ შეგეძლოთ ისეთი გუნდის შექმნა, რომ უმაღლესი არ დაგეტოვებინათ?!

„ჩვენც დაგვეხმარა ადგილობრივი მთავრობა, თუმც ცოტა დაგვიანებული აღმოჩნდა“ — ესეც ცინარიძის სიტყვებია.

ჰოდა, ამ „გვიანის“ გამოა ახლა თითზე კბენა გვიანი...

„თუ რეფორმა არ გატარდა, ვითამაშებთ პირველ ლიგაში. სერიოზულ დახმარებას გვპირდებიან, სტადიონიც გვექნება და გუნდიც გვეყოლება. ბათუმს რომ გუნდი უნდა ჰყავდეს, ორი აზრი არ არსებობს. ადგილობრივ კადრებსაც მივხედავთ და თუ სერიოზული დახმარება იქნა, ფეხბურთელებსაც მოვიწვევთ“ — აღნიშნა ცინარიძემ.

კარგია, თუ დახმარებას გპირდებიან და უფრო კარგი იქნება, ამას თუ შეგისრულებენ. მაშინ მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული ყველაფერი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბადრი ქეთიშვილის ფოტო

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 25 ტური

# მეცხრამეტეს 20 მაისს ფორმალობა ჩაამთავრებს



„დინამოს“ მეცამეტე ჩემპიონობა



ამერელმა დიმიტრი ტატანაშვილმა მესხთა მეკარე გიორგი სომხიშვილს ვერაფერი დააკლო

ესეც ასე, საქართველოს ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურმა ყველაფერი გაარკვია და 20 მაისის დასკვნითი შვიდი მატჩი ფორმალობად აქცია. ერთი ინტრიგალა შემორჩა, თუმც თავად განსაჯეთ, რამდენად შესაძლებელია, ეს მოხდეს: „ლოკომოტივმა“ „ბათუმთან“ უნდა წააგოს, „სპარტაკმა“ კი რუსთავში „ოლიმპს“ მოუგოს და ამ შემთხვევაში, საპლეიოფო ადგილზე ვაკელები ჩამოქვეითდებიან.

...მაგრამ „ბათუმი“ უკვე გავარდნილია.

დიახ, ზღვისპირელები პირველად დაშორდნენ უმაღლეს ლიგას. ავთანდილ კუნჭულიას გუნდს არც გუშინდლამდე ჰქონდა გადარჩენის იმედი, რაკილა სხვა მატჩების შედეგებზე იყო დამოკიდებული. საბოლოოდ, „ბათუმი“ 0:0-ზე გაეყარა „ზესტაფონს“, რომელმაც ამ ფრით უეფას თასზე ჩემპიონატის მეშვეობით გასვლის შანსი დაკარგა და მესამე ადგილზე დარჩა. ფეროელები გრძნობდნენ, რომ „ვიტ ჯორჯიას“ დამწევნი აღარ იყვნენ, 16 მაისს კი თასის ფინალი ელით და რაში აძლევდათ ხელს „ბათუმთან“ უძლიერესი შემადგენლობის დაყენება? თემურ მახარაძემაც გუნდის ლიდერები, რომლებიც დისკვალიფიკაციის ზღვარზე იყვნენ, დაასვენა.

ასევე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე ითამაშა „ამერმა“ და მეექვსე ადგილზე გასულ „მესხეთს“ უგოლო ფრით დაშორდა. ორივე გუნდს ჰქონდა საგოლე მომენტები, საუკეთესო კი, უდავოდ, გლდანელთა მეკარე ლადო ნადირაშვილი გახლდათ — ურთულესი ბურთები მოიგერია. დიმიტრი ტატანაშვილს კი მესხთა დამწუხრება რამდენჯერმე შეეძლო, რითაც ბომბარდირთა დავაში დინამოელ მიხეილ ხუციშვილს შეეტოქებოდა, თუმც „ტატანამ“ ერთიც ვერ გაიტანა და სამი ბურთით ჩამორჩა ხუციშვილს.

დინამოელთა შემტევმა კი ნამდვილ გოლეადაში მიიღო მონაწილეობა და თავისიანთა გატანილი 6 გოლიდან ორი ჩაიწერა — „დინამომ“ 6:5 სძლია „ლოკომოტივს“, ერთ ტაიმში 8 გოლი გავიდა!

თქვენ წარმოიდგინეთ, კიდევ რამდენიმე საგოლე მომენტი ქარს გაჰყვა. ვაკელთა რატი ალექსიძე არც ამჯერად გაჩერდა უგოლოდ, დუბლი შეასრულა და... ეჰ, ნეტავ, ის ოთხი წელი არ გაეფანტა...

„ვიტ ჯორჯია“ მეორე ადგილს და უეფას თასზე გასვლას ეწია. მართალია, ანგარიში მეგრელებმა გახსნეს, მაგრამ ვიტელებმაც მეგრული გოლებით უპასუხეს (ლიპარტია, სახოკია) და „ზესტაფონს“ 4 ქულით გაუსწრეს.

„ოლიმპმა“ რა ქნა, კითხვა უნდა? 1:0 მოგება თითქმის ტრადიციად აქცია და მეოთხე ადგილზე გადაბრძანდა. რუსთაველებმა „მერანს“ აჯობეს, რითაც თბილისელები ოფიციალურად პირველლიგელებად აქციეს. აი, მერანელ ლაშა ჯანგიძეს ბოლო წუთებზე რომ გაეტანა, თავის გუნდს უმაღლესში დარჩენის შანსს დაუტოვებდა, მაგრამ ძელს მოარტყა.

ასე კი, ცხინვალის „სპარტაკმა“ იხეირა და საპლეიოფო ადგილის ქვევით ნაღდად აღარ ჩავა. ცხინვალელები პირველი ტაიმის შემდეგ 1:0 უგებდნენ „დილას“ და საბოლოოდ, 3:0 გამარჯვება ჩაეთვლებათ. საქმე ისაა, რომ გორელები პირველი ტაიმის შემდეგ მინდორზე აღარ გასულან: წინა კვირას ესპანეთში მოხდა ასეთი რამ, „ლევანტემ“ „დეპორტივოსთან“ მატჩი საპროტესტო ქმედებით დაიწყო, ერთად დადგა 11 ფეხბურთელი და დეპორტივოელთა პირველი შეტევის შეჩერება არ უცდიათ. ახლა კი „დილამ“ დაახლოებით იგივე გაიმეორა — განსხვავება ისაა, რომ „ლევანტემ“ მაინც ითამაშა, გორელებს კი ტაიმის შემდეგ ამოუვიდათ ყელში... უხელფასობა. დიახ, ესპანური და გორული პროტესტის მიზეზი იდენტური იყო — უფულობა, კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან უყურადღებობა.

ჰო, კიდევ ერთი მატჩი იყო ამ ტურში, მაგრამ შეგნებულად უარი ვთქვით მის გაშუქებაზე: „ბორჯომმა“ შინ 2:5 წააგო „სიონთან“.

**ილია ნანობაშვილი**

ამერი 0:0 მესხეთი
ბორჯომი 2:5 სიონი
ვიტ ჯორჯია 2:1 მგლები
მერანი 0:1 ოლიმპი
ბათუმი 0:0 ზესტაფონი
დინამო 6:5 ლოკომოტივი
სპარტაკი — დილა
*ჩაიშალა*

**ბომბარდირები**

16 - მ. ხუციშვილი — დინამო
13 - დ. ტატანაშვილი — ამერი
12 - გ. მერებაშვილი — დინამო
11 - შ. ვეიერა — ზესტაფონი

**25-ე ტური**

20 მაისი, სამშაბათი
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – ამერი
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი – ბათუმი
დილა – დინამო
სიონი – მერანი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 25 | 22 | 1 | 2 | 65:18 | 67 |
| ვიტ ჯორჯია | 25 | 19 | 3 | 3 | 45:12 | 60 |
| ზესტაფონი | 25 | 17 | 5 | 3 | 53:15 | 56 |
| ოლიმპი | 25 | 15 | 4 | 6 | 25:16 | 49 |
| ამერი | 25 | 15 | 3 | 7 | 47:24 | 48 |
| მესხეთი | 25 | 10 | 6 | 9 | 27:30 | 36 |
| ბორჯომი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:35 | 31 |
| მგლები | 25 | 9 | 3 | 13 | 23:31 | 30 |
| სიონი | 25 | 8 | 5 | 12 | 29:35 | 29 |
| ლოკომოტივი | 25 | 6 | 6 | 13 | 23:34 | 24 |
| სპარტაკი | 25 | 5 | 8 | 12 | 15:27 | 23 |
| მერანი | 25 | 6 | 1 | 18 | 15:49 | 19 |
| ბათუმი | 25 | 4 | 4 | 17 | 15:47 | 16 |
| დილა | 25 | 1 | 5 | 19 | 12:53 | 8 |

**სიმბოლური ნაკრები**

რატი ალექსიძე — ლოკომოტივი
მათე ვაწაძე — დინამო
ჯაბა ლიპარტია — ვიტ ჯორჯია
მიხეილ ხუციშვილი — დინამო
დავით ოდიკაძე — დინამო
გიორგი დეკანოსიძე — ამერი
ალექსანდრე კოშკაძე — მესხეთი
მურმან ძურასბედიანი — სიონი
ლევან მერებაშვილი — მესხეთი
პაატა დათუნაიშვილი — ვიტ ჯორჯია
ლადო ნადირაშვილი — ამერი

# ლევან ყენია ვარსკვლავების ნაკვალევზე

**რვაგუნდა** პრესტიჟულ ტურნირზე ლევან ყენიამ და მისმა „შალკემ“ მესამე ადგილი დაიკავეს. ამ ტურნირს „სპექს კაპი“ ჰქვია, 1974 წლიდან ტარდება და მასში ევროპის სხვადასხვა კლუბების 20-წლამდელთა გუნდები თამაშობენ.

ანდრეი შევჩენკო, იურგენ კლინსმანი, მარიო ბასლერი, დენის ბერხკამპი, პოლ სქოულზი, დევიდ ბექემი, ბენი მაკარტი — მათ ამ ტურნირზე უთამაშიათ, შეიძლება ითქვას, აქედან დაუწყიათ დიდი კარიერა, რაკილა ამ „სპექს კაპს“ თურმე, საშუალოდ, 15 000 გულშემატკივარი ესწრება.

წლევანდელი „სპექს კაპი“ გერმანიის პატარა ქალაქ ელენარდში გაიმართა. ყენიას „შალკემ“ ჯგუფში „ზენიტსა“ და „ჩელსის“ ფრედ გაეყარა (0:0, 1:1), „დუისბურგს“ კი 4:0 მოუგო.



ნახევარფინალში ლევანის გუნდი ბარზილიის „ატლეტიკო მინეიროსთან“ 1:2 დამარცხდა, ხოლო მესამე ადგილისთვის მატჩში „ჩელსის“ 1:0 სძლია. „სპექს კაპი“ „ატლეტიკო მინეირომ“ მოიგო — ფინალში ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ 1:0 აჯობა.

საქართველოს ნაკრების 17 წლის შემტევს გოლი არ გაუტანია, თუმც ორი საგოლე პასი გააკეთა, აქედან ერთი „ჩელსისთან“ მესამე ადგილისთვის შეხვედრაში.

**ილია ნანოგაშვილი**

# მუჯირს დრო უნდა

**რუსული** პრემიერლიგის მე-10 ტურში, „ტომთან“ 2:0 მოგების შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა რაშიდ რახიმოვმა განაცხადა, რომ დავით მუჯირს დრო სჭირდება.

კითხვაზე, რატომ გამოდის მოედანზე ქართველი ნახევარმცველი ასე იშვიათად, რახიმოვმა განაცხადა: „ყველაფერს თავისი დრო აქვს. „ტომთან“ მუჯირს დიდხანს არ უთამაშია, მაგრამ ბურთი რომ იცის, მაინც წარმოაჩინა. ის არის ფეხბურთელი, რომელსაც მეტოქისთვის გვერდის ავლა და ორივე ფეხით კარში დარტყმა შეუძლია. უბრალოდ, საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად დრო სჭირდება“.

„ტომთან“ შეხვედრაში მუჯირი 84-ე წუთზე შეცვლაზე შევიდა, ხოლო „ლოკომოტივის“ მეორე ქართველი ლეგიონერი მალხაზ ასათიანი სათადარიგო იყო.

**კახა ზალამბერიძე**

# რატომ დაუთმო ამისულაშვილმა პენალტი სირაძეს?

## კრასნოჟანი ამის გამოძიებას აპირებს

**რუსული** პრემიერლიგის მე-10 ტურში შინ ყაზანის „რუბინთან“ 2:0 გამარჯვების შემდეგ, მასპინძელთა ცენტრალური მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი „სპორტ-ექსპრესმა“ ზედიზედ მეორედ შეიყვანა ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

ყაზანელთა წინააღმდეგ ამისულაშვილმა 90 წუთი ითამაშა, ნალჩიკელთა კიდევ ერთი ქართველი, თავდამსხმელი დავით სირაძე კი მოედანზე 76-ე წუთზე გამოჩნდა.

მატჩის ბოლო წუთზე სირაძემ პენალტი მოინადირა, თავადვე დაარტყა და ვერ გამოიყენა, რამაც „ნალჩიკის“ მთავარი მწვრთნელი იური კრასნოჟანი გააცხარა: „იმ ფეხბურთელებიდან, რომლებიც მოედანზე იყვნენ, პენალტის დარტყმა ბიკმაევს, კისენკოვს და ამისულაშვილს შეეძლოთ. ამისულაშვილმა კი, მგონი, სირაძეს უთხრა, რომ თერთმეტმეტრიანი მას შეესრულებინა. ეს არასწორია და აუცილებლად გავარკვევ, რა მოხდა“.

**კახა ზალამბერიძე**



დავით სირაძე

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ნაპოლი 1:3 | 90 | | 29 | 0 | 5 |
| ლევან მჭედლიძე | ემპოლი | ს | რეჯინა 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 19 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | ს | ბირმინგემი 1:4 | 0 | განაცხადში არ იყო | 17 | 0 | 7 |
| **ავსტრია. ერსტელიგა** | | | | | | | | |
| მირზა ბჟალავა | ლუშტენაუ | ს | კაპფენბერგი 2:3 | 90 | | 12 | 0 | 3 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | აინტრახტი 1:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 13 | 1 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | შ | ბოხუმი 1:3 | 90 | | 27 | 0 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | ოსნაბრიუკი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 11 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი | ს | გლადბახი 3:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 5 |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი | შ | ლაუტერნი 2:2 | 0 | | 12 | 0 | 18 |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი | შ | ლაუტერნი 2:2 | 90 | | 17 | 0 | 18 |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი | შ | ლაუტერნი 2:2 | 0 | | 1 | 0 | 18 |
| **ესპანეთი. პრიმერადივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე | შ | ვალენსია 1:5 | 0 | | 3 | 0 | 20 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 3 |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | შ | ტომი 2:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| დავით კვირკველია | რუბინი | ს | ნალჩიკი 0:2 | 73 | შეცვალეს | 10 | 2 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | ნალჩიკი 0:2 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | ნალჩიკი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | რუბინი 2:0 | 0 | დისკვალიფიკაცია | 7 | 0 | 8 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | რუბინი 2:0 | 90 | | 10 | 0 | 8 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | რუბინი 2:0 | 14 | შეცვლაზე, გააფრთხილეს | 9 | 0 | 8 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | შ | ზენიტი — გადაიდო | | | 8 | 1 | 15 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გედევან დარასელია | ტორპედო | შ | ბრიანსკი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 17 |
| ვალერი აბრამიძე | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 90 | | 9 | 1 | 4 |
| გიორგი ნავალოვსკი | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 90 | | 8 | 0 | 4 |
| მიხეილ აშვეთია | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 2 | 4 |
| ზურაბ არზიანი | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 81 | შეცვალეს | 5 | 0 | 4 |
| რევაზ ჯიქია | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 4 |
| გოჩა ხოჯავა | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 0 | დისკვალიფიკაცია | 8 | 1 | 4 |
| რევაზ ბარაბაძე | ანჟი | შ | აკადემკლუბი 4:2 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| პაატა ჯინჭარაძე | ბრიანსკი | ს | ტორპედო 0:1 | 90 | | 7 | 0 | 18 |
| გია გრიგალავა | სკა | შ | ალანია 3:1 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| სანდრო იაშვილი | თუნი | შ | ციურიხი 1:1 | 0 | სათადარიგო | 22 | 1 | 10 |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | ს | თუნი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | შ | სლავია 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 2 | 0 | 6 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | არტმედია 0:3 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 3 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | ლუნგბიუ 3:2 | 74 | შეცვალეს | 11 | 0 | 11 |
| **უკრაინა. ვიშა ლიგა** | | | | | | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | შ | ვორსკლა 2:1 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| დავით იმედაშვილი | დინამო | შ | ვორსკლა 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| კახა ალადაშვილი | ხარკოვი | შ | შახტარი 0:3 | 90 | | 8 | 0 | 14 |
| ლადო ბურდული | ზარია | შ | ტავრია 2:3 | 0 | | 20 | 0 | 13 |
| გიორგი ციმაკურიძე | ზარია | შ | ტავრია 2:3 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 1 | 13 |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა | ს | დინამო 1:2 | 0 | | 0 | 0 | 8 |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | მ. ზაპოროჟიე 0:0 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 21 | 3 | 4 |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | მ. ზაპოროჟიე 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 1 | 0 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი | ს | კრივბასი 0:0 | 0 | | 18 | 3 | 6 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



ბადრი კოპოლაძის ფოტო

ჭიათურელები ზაურ ხაჭიპერაძის დროულად გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავენ

# 18 მაისს რუსთავში

## მაღაროელი და გაგრა ერთმანეთს გასამებაში ეჯიბრებიან

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგებში ერთი ტურია დარჩენილი. უმაღლეს ლიგაში ის დარჩა გასარკვევი, რომელი გუნდი ითამაშებს პლეი აუტში — „ლოკომოტივი" თუ „სპარტაკი". პირველ ლიგაში კი ბოლო ტური არაფერს წყვეტს და დასავლეთ-აღმოსავლეთის ლიდერები, ჭიათურის „მაღაროელი" და „გაგრა" ერთმანეთთან სათამაშოდ ემზადებიან. მათ შორის გამარჯვებული უმაღლესლიგელი გახდება, დამარცხებული კი „ლოკომოტივს" ან „სპარტაკს" გაეჯიბრება...

გუშინ ორივე პირველლიგელის მთავარ მწვრთნელებს შევეხმიანეთ...

***ბადრი ბრეგვაძე**, „მაღაროელის" მთავარი მწვრთნელი:* „რამდენიმე ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავს — ჩხარტიშვილი, ტყემალაძე... ბოლო მატჩში კუნთი გაუწყდა ზაურ ხაჭიპერაძეს. სხვა მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა, ამ ეტაპზე ფინანსური პრობლემებიც მოგვარებულია. ახლა მხოლოდ „გაგრასთან" მატჩზე ვფიქრობთ. ჭიათურის „მაღაროელი" ორჯერ უკვე იყო უმაღლეს ლიგაში და მესამედაც უნდა ავიდეთ".

***გიორგი ჭიაბრიშვილი**, „გაგრას" მთავარი მწვრთნელი:* „მადლობა ღმერთს, ტრავმირებული არავინ გვყავს და ყველა სრული დატვირთვით ვარჯიშობს. „გაგრა" უკვე მესამედ გავიდა პლეი ოფში, სამი ღვთიური რიცხვია და მჯერა, დასახულ მიზანს მივაღწევთ.

— ხომ არ იცით, თამაში სად ჩატარდება?

— თითქმის გადაწყვეტილია, რომ 18 მაისს რუსთავში, „ფოლადზე" ვითამაშებთ.

**ნუგზარი ლოლაძე**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა 26 ტური

### აღმოსავლეთი

**6-დინ. მერანი 2 1:1 ვიტ ჯორჯია 2**

0:1 კაიშაური (29), 1:1 ხვთისავრიშვილი (74)

6-დინ. მერანი 2: დგებუაძე, ა. შენგელია (გურჩიანი 60), ლონიაშვილი (ჩიტალაძე 75), ხვთისავრიშვილი, დაბრუნდაშვილი (გავაშელი 80), ქუხილავა, ჯორჯიკია, გვალია, კაკულია, ქავთარაძე, ტოსტიაშვილი

*სათადარიგო: არავინ*

მწვრთნელი: რევაზ ბარამიძე

ვიტ ჯორჯია 2: მიქაბერიძე, პირველი, ადამაძე, კასრაძე, კაიშაური, ინჯგია (დვალაშვილი 56), კვალინიძე, ვეკუა, გ. ჯანელიძე, ჯიქიძე, ლანიაშვილი

*სათადარიგონი: ღურბელეიშვილი, სორდია, როსტიაშვილი, ზაქრაძე, მ. ქირია, ცხოვრებაძე*

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

გაფრთხილება: ჯორჯიკია

მსაჯი: ლ. სილაგავა

100 მაყურებელი

**მეშაქრე 1:0 კახეთი**

1:0 ჩიხლაძე (193)

მეშაქრე: აბრამიშვილი, ლ. ტყებუჩავა, ახობაძე, დონდოლაძე, გაგნიძე, გ. თარგამაძე, ლ. კვარაცხელია, ფაილოძე, ბ. გოცირიძე (ლ. კობახიძე 83), ი. სიხარულიძე (გ. ტყებუჩავა 60), ჩიხლაძე (ობგაიძე 88)

*სათადარიგონი: დერევიანჩენკო, ა. ჯანელიძე*

მწვრთნელი: გოჩა ტყებუჩავა

კახეთი: მარგოშვილი, ლომიძე, მურველაშვილი, ჩუთლაშვილი, კევლიშვილი, შ. ლობჟანიძე, ზარქუა, ლ. აბდულაევი (გენგაშვილი 73), კუპრაშვილი, ლ. ტეტიაშვილი, ბიძინაშვილი

*სათადარიგონი: ო. აბდულაევი, გ. ოთარაშვილი*

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: კვარაცხელია, მურველაშვილი

მსაჯი: მ. ურუშაძე

200 მაყურებელი

**გაგრა 4:0 ჩიხურა**

1:0 შარიქაძე (5), 2:0 დათუნაშვილი (16), 3:0 ტეტუნაშვილი (67), 4:0 შარიქაძე (81)

გაგრა: ხომერიკი, ქაჯაია, ქვრივიშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, თოთაძე, ცხადაია, ჩარგეიშვილი, ფილია (ხოკერაშვილი 65), ზ. დათუნაშვილი (კორიფაძე 55), შარიქაძე, ა. აბაშიძე (ზ. ძაგანია 46)

*სათადარიგონი: უჩავა, ჩოჩია, ბ. ყიფიანი, ი. ხელაძე*

მწვრთნელი: გიორგი ჭიაბრიშვილი

ჩიხურა: მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, ბარაბაძე (ხურცილავა 36), ზივზივაძე, ვ. ზაბახიძე, ჭილლაძე, ი. ზაბახიძე, დოლონაძე, ხვედელიძე (გ. ენუქიძე 16), როგავა, გულიაშვილი

*სათადარიგონი: ბეგაშვილი, ცარციძე, ივანიშვილი, დ. ენუქიძე, ტეფნაძე*

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: აბაშიძე, ცხადაია, თოთაძე, შარიქაძე, როგავა

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

100 მაყურებელი

**ამერი 2 2:3 დინამო 2**

1:0 დ. სიჭინავა (6), 1:1 ჯოხაძე (63), 2:1 გ. სიჭინავა (65), 2:2 ჯოხაძე (70), 2:3 ნემსაძე (82)

ამერი 2: გვენცაძე, ხატიაშვილი, გ. ჯელაძე, გვაძაბია (ვ. ჯელაძე 44), დ. მჭედლიშვილი (კეკელია 46), გ. მუშკუდიანი, გ. სიჭინავა, ხუციძე, დ. სიჭინავა, გ. ხელაძე, კბილცეცხლაშვილი (გრძელიძე 60)

*სათადარიგონი: ნაჭყებია, ბასილაური*

მწვრთნელი: დავით მახარაძე

დინამო 2: გ. ნადირაძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, ჩადუნელი, ა. ტეტუნაშვილი, ვ. ნემსაძე, კოპაძე, შერაზადაშვილი (კანდელაკი 80), გ. ჯოხაძე (გ. ჩიკვაიძე 85), ქანთარია (ი. სიხარულიძე 61), ნ. ჯიშკარიანი

*სათადარიგონი: ლოსაბერიძე, ჭადაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გ. ოთარაშვილი*

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

გაფრთხილება: გ. ჯელაძე, გოპაძე, შერაზადაშვილი, ჩადუნელი

მსაჯი: ვ. გუმბერიძე

50 მაყურებელი

**ოლიმპი 2 2:1 ოლიმპიკი**

1:0 იაშვილი (43), 1:1 შონია (61), 2:1 სულუხია (71)

ოლიმპი 2: ვ. ლობჟანიძე, სარაჯიშვილი, გ. პაჭკორია, გ. ოდიშარია, ცოცხალაშვილი, გ. გურეშიძე, გ. იაშვილი, მახარაშვილი (სულუხია 16), ლაფერაშვილი, გუგუჩია (ჭაფოძე 59), ზ. გავაშელაშვილი (დ. პაჭკორია 89)

*სათადარიგონი: გიორგობიანი, ლ. მუმლაძე*

მწვრთნელი: გელა გომელაური

ოლიმპიკი: ემუხვარი, ბებუა, გ. ალავიძე (ცინცაძე 75), გოგიაშვილი, როსტომაშვილი (ჯინჭარაძე 46), ფურცელაძე, ნ. მაისურაძე, ღვინიაშვილი, ოქრუაშვილი, შ. კვანტალიანი (ლაბარტყავა 46), თ. შონია

*სათადარიგონი: ნ. დაუშვილი, ქამუშაძე*

მწვრთნელი: ლევან მელიქია

გაფრთხილება: გ. პაჭკორია, სულუხია

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

100 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 26 | 15 | 6 | 5 | 56:36 | 51 |
| მეშაქრე | 26 | 13 | 9 | 4 | 34:20 | 48 |
| დინამო 2 | 26 | 13 | 7 | 6 | 36:22 | 46 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 26 | 13 | 6 | 7 | 39:21 | 45 |
| ჩიხურა | 26 | 11 | 7 | 8 | 38:37 | 40 |
| ოლიმპი 2 | 26 | 9 | 8 | 9 | 33:36 | 35 |
| კახეთი | 26 | 10 | 4 | 12 | 38:38 | 34 |
| ამერი 2 | 26 | 9 | 2 | 15 | 42:42 | 29 |
| ოლიმპიკი | 26 | 6 | 4 | 16 | 35:52 | 22 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 26 | 1 | 7 | 18 | 20:67 | 10 |

### XXVII ტური

14 მაისი, ოთხშაბათი

ოლიმპიკი – ნ.დინ-მერანი 2

დინამო 2 – ოლიმპი 2

ჩიხურა – ამერი 2

კახეთი – გაგრა

ვიტ ჯორჯია 2 – მეშაქრე

### დასავლეთი

**ხობი 0:2 მაღაროელი**

0:1 ტყებუჩავა (68), 0:2 ხაჭიპერაძე (80)

ხობი: ხარძეიშვილი, გ. გოგენია, ფარფალია, დ. ჭითანავა, ჯამბურია, კუტალია, ლეფსაია (დანელია 65), ო. ფიფია, ფირცხელავა (გაგუა 60), ღლონტი, სართანია (ლომაია 69)

*სათადარიგონი: ლ. ჭითანავა, ა. კვირკველია, წულაია, ალანია*

მწვრთნელი: ლევან ნოდია

მაღაროელი: მამარდაშვილი, ო. მგელაძე, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ეგაძე, გ. ილურიძე, სეფერთელაძე, ი. ტყებუჩავა, მდივნიშვილი, ზ. ხაჭიპერაძე (ჯაჯანიძე 88), სევასტოპულო

*სათადარიგონი: ბადურაშვილი, მ. სამხარაძე, ცუცქირიძე, გაფრინდაშვილი, მიშველიძე, ბიბილაშვილი*

მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

გაფრთხილება: ფიფია, ღლონტი, ფარფალია, ხარძეიშვილი, სევასტოპულო

მსაჯი: ი. ურუშაძე

300 მაყურებელი

**მეშახტე 1:0 ზესტაფონი 2**

1:0 ხაჩიძე (38)

მეშახტე: გიორგაძე, მ. ბოჭორიშვილი, წერეთელი, ყურაშვილი, ჩუბინიძე, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, გ. კირკიტაძე, ხაჩიძე, მერკვილაძე (გ. გვენეტაძე 64), ავალიშვილი (ჭელიშვილი 90)

*სათადარიგონი: თორთლაძე, თევზაძე*

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

ზესტაფონი 2: ო. ბოჭორიშვილი, ხიხაძე, შარანგია, ხუმარაშვილი, გელაჭეიშვილი, ბუკია, საცერაძე, ბერუაშვილი (გაბრიჩიძე 46), გ. გავაშელაშვილი (გორგიაშვილი 67), სოფრომაძე, დ. ჯანელიძე (ბერძენაძე 61)

*სათადარიგონი: კამლაძე, ბ. ცხადაძე, სურმავა*

მწვრთნელი: მალხაზ ლონლაძე

გაფრთხილება: ჯანელიძე, გავაშელაშვილი, ჩუბინიძე

მსაჯი: პ. დოგრაშვილი

100 მაყურებელი

**ტორპედო 1:0 უნივერსიტეტი**

1:0 გაბუნია (57)

ტორპედო: დ. მემარნიშვილი, ნუცუბიძე, ხარებავა, ვაჩიბერაძე, გაბუნია, ჭანკვეტაძე, ლ. კირკიტაძე (გოდერიძე 56), თვალავაძე, კილაძე, კეჭეყმაძე (გ. გურეშიძე 74), ბ. ჩხეტიანი (ქიმუცაძე 79)

*სათადარიგონი: დ. ოდიშარია, ხაბურძანია, ქათამაძე, მუკმანიანი*

მწვრთნელი: დავით ჯანაშია

უნივერსიტეტი: კუჭუხიძე, გ. ტორაძე, წიქორიძე, დარჯანია, კვირიკაშვილი, ქორიძე (დვალიშვილი 74), ბასილაია, შველიძე, კუბლაშვილი, ბოდოკია, ჭოლოშვილი

*სათადარიგო: მეფარიშვილი*

მწვრთნელი: ედუარდ შავგულიძე

გაფრთხილება: გაბუნია, დარჯანია

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი

100 მაყურებელი

**მერანი (მ) 4:0 სამტრედია**

1:0 ფარცვანია (8), 2:0 მუმლაძე (42), 3:0 ციცხვაია (54), 4:0 ცაგარეიშვილი (80)

მერანი (მ): ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, ფარცვანია (კ. ძაგანია 67), აქუბარდია, კვიტატიანი, გოგუა, წოწორია, ლ. ჩალაძე, ლომია, შ. მუმლაძე (ბეგოიძე 57), ციცხვაია (ცაგარეიშვილი 70)

*სათადარიგონი: შეროზია, პაპადოპულოსი, ლ. ტორაძე, ო. რუხაძე*

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

სამტრედია: ხურციძე, გოგია, კვესეიშვილი, გუბელაძე, თელია (ნინუა 46), ქობალია, ჩომახიძე, დ. გაბედავა (გ. რუხაძე 75), ადეიშვილი, ბაკარაძე, სუნიაევი (მამულაშვილი 64)

*სათადარიგონი: ამაღლობელი, შ. გაგუა, ბოხუა, რაზმაძე*

მწვრთნელი: ბადრი ქორიძე

გაფრთხილება: ჩხიკვაძე

მსაჯი: გ. ვადაჭკორია

200 მაყურებელი

**ფაზისი 0:3 კოლხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 26 | 20 | 4 | 2 | 51:17 | 64 |
| მეშახტე | 26 | 14 | 2 | 10 | 39:36 | 44 |
| მერანი (მ) | 26 | 13 | 5 | 8 | 36:22 | 44 |
| ზესტაფონი 2 | 26 | 12 | 4 | 10 | 39:25 | 40 |
| ხობი | 26 | 10 | 7 | 9 | 35:27 | 37 |
| კოლხეთი | 26 | 10 | 7 | 9 | 33:33 | 37 |
| ტორპედო | 26 | 10 | 6 | 10 | 34:31 | 36 |
| სამტრედია | 26 | 9 | 4 | 13 | 35:50 | 31 |
| უნივერსიტეტი | 26 | 8 | 3 | 15 | 21:29 | 27 |
| ფაზისი | 26 | 2 | 2 | 22 | 17:70 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

### XXVII ტური

14 მაისი, ოთხშაბათი

სამტრედია – ხობი

კოლხეთი – მერანი (მ)

ზესტაფონი 2 – ტორპედო

მაღაროელი – მეშახტე

უნივერსიტეტი – ფაზისი

# საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**23-ე ტური**

**ძიზიყი 6:0 ბახტრიონი**

**სამგორი 0:1 ალგეთი**

**ოლიმპი 3 0:3 ჰერეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქიზიყი | 22 | 18 | 2 | 2 | 78:16 | 56 |
| ალგეთი | 22 | 15 | 5 | 2 | 47:16 | 50 |
| ზოოვეტი | 22 | 15 | 3 | 4 | 52:19 | 48 |
| ჰერეთი | 23 | 13 | 5 | 5 | 48:18 | 44 |
| სიონი 2 | 21 | 13 | 4 | 4 | 51:20 | 43 |
| სამგორი | 22 | 9 | 4 | 9 | 41:32 | 31 |
| გარეჯი | 21 | 8 | 7 | 6 | 36:23 | 31 |
| დურუჯი | 21 | 8 | 0 | 13 | 32:46 | 24 |
| ალაზანი | 21 | 7 | 3 | 11 | 31:39 | 24 |
| ოლიმპი 3 | 22 | 6 | 4 | 12 | 32:51 | 22 |
| კახეთი 2 | 22 | 4 | 5 | 13 | 28:46 | 17 |
| მაუდი | 21 | 2 | 1 | 18 | 19:81 | 7 |
| ბახტრიონი | 22 | 1 | 1 | 20 | 16:104 | 4 |

### ცენტრალური ზონა

**23-ე ტური**

**35-ეს სკოლა 1:1 ამერი 3**

**ნორჩი დინამო 4:0 სპარტაკი 2**

**ორბები 3:0 ბორჯომი 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორჩი დინამო | 22 | 19 | 2 | 1 | 63:14 | 59 |
| ორბები | 22 | 18 | 2 | 2 | 54:13 | 56 |
| სპარტაკი 2 (ცხ) | 23 | 14 | 2 | 7 | 51:32 | 44 |
| ამერი 3 | 22 | 11 | 7 | 4 | 38:16 | 40 |
| ლოკომოტივი 2 | 22 | 10 | 4 | 8 | 35:30 | 34 |
| 35-ე სკოლა | 22 | 9 | 3 | 10 | 47:44 | 30 |
| სპარტაკი (თბ) | 21 | 8 | 3 | 10 | 26:29 | 27 |
| გაგრა 2 | 21 | 7 | 4 | 10 | 30:34 | 25 |
| ბორჯომი 2 | 21 | 7 | 3 | 11 | 27:38 | 24 |
| დუშეთი | 21 | 5 | 5 | 11 | 28:43 | 20 |
| მერანი 2 | 22 | 5 | 4 | 13 | 26:55 | 19 |
| ლიახვი | 21 | 3 | 1 | 17 | 18:67 | 10 |
| აწყური | 20 | 3 | 0 | 17 | 22:56 | 9 |

*პირველი წრის მატჩში „მერანი 2" — „ბორჯომი 2" ორივე გუნდს ჩათვლილი აქვს 0:3 წაგება*

### დასავლეთი ზონა

**მე-20 ტური**

**ტორპედო 2 0:0 იბერია XXI**

**იმერეთი 0:0 ბათუმი 2**

**მარგვეთი 0:4 გურია**

**მაღაროელი 2 1:1 გაგრა 3**

**მერანი 2 (მ) 0:0 ბაია**

**მერცხალი 1:1 სქური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 20 | 14 | 5 | 1 | 42:13 | 47 |
| ბაია | 19 | 14 | 4 | 1 | 46:18 | 46 |
| მერანი 2 (მ) | 20 | 11 | 6 | 3 | 38:21 | 39 |
| გაგრა 3 | 20 | 8 | 5 | 7 | 31:28 | 29 |
| სქური | 20 | 7 | 5 | 8 | 29:24 | 26 |
| იბერია XXI | 19 | 6 | 5 | 8 | 17:24 | 23 |
| მარგვეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 37:46 | 22 |
| ბათუმი 2 | 20 | 6 | 3 | 11 | 20:38 | 21 |
| მაღაროელი 2 | 20 | 5 | 6 | 9 | 22:33 | 21 |
| მერცხალი | 20 | 4 | 7 | 9 | 16:27 | 19 |
| იმერეთი | 20 | 4 | 5 | 11 | 19:30 | 17 |
| ტორპედო 2 | 20 | 2 | 9 | 9 | 12:26 | 15 |



ეშლი კოული და მაიკ რაილი

# რატომ გაუზრდელდნენ სამაგალითო ინგლისელები?

**ინგლისის** ნაკრების იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა აწ უკვე დამთავრებულ სეზონში ნაბიჯი უკან გადადგეს. გასაკვირია? თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორივე გუნდი პრემიერლიგიდან არის, ალბათ კი, მაგრამ... კაპელომ დისციპლინა იგულისხმა.

მართლაც, ინგლისმა ამ სეზონში ცუდი ქცევის რამდენიმე ნიმუში მისცა ევროპას. მაგალითად, ეშლი კოულმა მარტში „ჩელსისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" შეხვედრაში ალან ჰატონის წინააღმდეგ იარაღსავით შემართული ქაცვებით გალაშქრების შემდეგ მსაჯ მაიკ რაილის უკმეხად შეაქცია ზურგი. მერე, ამ უკმეხობას მისმა თანაგუნდელმა ჯონ ტერიმ დაამატა ახალი: მსაჯს მივარდა და ხელები გაუშალა, კოულისგან რა გინდა, მართალი იყოო. არადა, ტერი ინგლისის ნაკრების შესაძლო კაპიტანი გახლავთ.

აპრილში, იმავე „ჩელსისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრაში მანჩესტერელი ოუენ ჰარგრივზი, რომელიც ასევე ინგლისის ნაკრების მოთამაშე გახლავთ, მსაჯ ალან უაილიზე გაცეცხლდა. მისმა თანაგუნდელმა რიო ფერდინანდმა კი (ფერდინანდი, ტერის მსგავსად, ნაკრების ერთ-ერთი შესაძლო კაპიტანთაგანია), თამაშის შემდეგ „სტემფორდ ბრიჯის" ქალ სტიუარდს მუჯლუგუნი უთავაზა.

აი, ასეთი დამოკიდებულება აქვთ ინგლისელ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს იმ კამპანიასთან, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ მარტში წამოიწყო. ასოციაციამ ამ წამოწყებას „პატივისცემის" კამპანია უწოდა.

თვით სერ ალექს ფერგიუსონიც კი მოხვდა სადისციპლინო კომიტეტის ობიექტივში. „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი ვერდიქტს ელის, მიზეზი კი ფეხბურთის ასოციაციის თასზე „პორტსმუთთან" დამარცხების შემდეგ მსაჯის, მარტინ ატკინსონის კრიტიკაა.

არც „ჩელსის" თავკაცი ავრაამ გრანტი გახლავთ უხინჯო — კოულთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ ეპიზოდში „ლურჯების" დამრიგებელი მეოთხე მსაჯს გაუხდა დასამშვიდებელი.

„წლების წინ, როდესაც ინგლისურ ფეხბურთს შორიდან ვადევნებდი თვალს, ფეხბურთელების მსაჯებისადმი დამოკიდებულებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩებოდი — განაცხადა კაპელომ — ეს ნამდვილი მაგალითი იყო და მეც შანსს არ ვუშვებდი ხელიდან, ჩემს მოთამაშეებს სწორედ ამ მაგალითებით ველაპარაკებოდი. სამწუხაროდ, გასულ სეზონში ჩვენ ნაბიჯი უკან გადავდგით და ახლა აუცილებელია, ისევ ძველ პოზიციაზე დავბრუნდეთ. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა კი მწვრთნელებს აწევთ. ისინი ვალდებულნი არიან, თავიანთ ფეხბურთელებს ცუდისკენ არ უბიძგონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით — უმაღლეს დონეზე. უმაღლესი დონის ფეხბურთელებს ხომ მთელს ქვეყანაში პატარა ბავშვები უყურებენ და მათ ბაძავენ. ჩვენ, ფეხბურთში მოტრიალე ადამიანები, ვალდებულნი ვართ, ახალგაზრდებს კარგი მაგალითი მივცეთ. ჩემი სამუშაოს ნაწილი ფეხბურთელებთან სწორედ ამ საკითხებზე ლაპარაკიც გახლავთ".

სხვათა შორის, ამასწიანათ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა თავისი ოთხწლიანი გეგმა, რომელშიც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლაც არის გათვალისწინებული, მაგრამ ინგლისელთა იტალიელი მწვრთნელი ამბობს, რომ მის ქვეშევრდომებს მეტიც შეუძლიათ:

„ჩემი ამბიცია ყოველთვის და ყველგან პირველობაა. რასაკვირველია, რეალურად ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი გუნდი მყავს. ინგლისის ნაკრების შემთხვევაში ჩვენი შესაძლებლობები დიდია და შესაბამისად, მხოლოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ".

და ბოლოს იმის შესახებ, რომ ფაბიო კაპელომ ფეხბურთის ასოციაციის ეროვნული საფეხბურთო ცენტრის შექმნის დაგვიანება დაუწუნა.

„გამკვირვებია, ამხელა საფეხბურთო ერს აქამდე ერთი ცენტრიც რომ არ ჰქონდა. ძალიან კარგია, რომ ახლა პირველი იხსნება".

კაპელოს თქმით, ბარტონში აშენებული ცენტრი 2010 წელს ამოქმედდება და ინგლისელ მწვრთნელებს კვალიფიკაციას აუმაღლებს, თუმცა ფეხბურთის ასოციაცია კონკრეტული ვადის დასახელებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ძვირი გოლები და იაფი გეგმა

**ისინი** ერთმანეთს ზრდილობიანად ელაპარაკნენ, შესაძლოა, ოდნავ მხიარულადაც კი. მაგიდის გარშემო ერთი ერთ ბოლოში მჯდარა, მეორე — მეორეში, თუმცა პარასკევი საღამო მაიკ ეშლის მაინც უფრო გარეთ საუთგეიტთან საუბარში გაუტარებია, კევინ კიგანს კი ავტოგრაფების დარიგებასა და ნიუკასლელ ფანებთან საუბარში. საერთოდ, როგორც თვითმხილველნი ამბობენ, „ნიუკასლ იუნაიტედის" მილიონერ მეპატრონესა და მწვრთნელს ის დღე ერთმანეთის კამპანიაში გაუტარებიათ, თუმცა ორივეს ლაპარაკისთვის მოსმენა უმჯობინებია.

სად მოხდა ეს ამბავი? სად და ბობი რობსონის „კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ფონდისთვის" თანხების აკრეფის საქველმოქმედო ღონისძიებაზე, სადაც, ზოგი მიმომხილველის აზრით, ორ ხსენებულ ადამიანს სალაპარაკოც ბევრი არაფერი ჰქონდათ. თურმე კიგანს იმთავითვე ზუსტი წარმოდგენა ჰქონია იმაზე, თუ რას ეტყოდა, უფრო სწორედ კი, მოსთხოვდა კლუბის ხელმძღვანელობა.



კევინ კიგანი და მაიკ ეშლი

კერძოდ, აი, რა: მაიკ ეშლი აბსოლუტურად არის დარწმუნებული, რომ გუნდის გასაძლიერებლად დიდძალი ფულის ხარჯვა მცდარი პოლიტიკაა. მის მიერ შედგენილი გეგმა კატეგორიულად არ ითვალისწინებს მაღალანაზღაურებიანი ფეხბურთელების ყიდვას და თათბირზე, რომელსაც „ნიუკასლის" მწვრთნელები და სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ, პრინციპულად მოითხოვა მთელს მსოფლიოში ახალგაზრდა ტალანტების მოძიება.

„ნიუკასლ იუნაიტედის" მავანმა თანამშრომელმა თქვა:

„მაიკ ეშლი დარწმუნებულია, რომ ფულის ხარჯვაზე უკეთესი გზებიც არსებობს. ის ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდას გულისხმობს, ანუ სწორედ იმას, რასაც ჩვენი კლუბი ადრეულ წლებში აკეთებდა. ერთი სიტყვით, ამიერიდან „ნიუკასლ იუნაიტედში" კურსის ცვლილებაა მოსალოდნელი. მაიკლ ოუენის შეძენის მაგვარი ოპერაციები აღარ განხორციელდება. ამის ნაცვლად კლუბი მთელს მსოფლიოში დაიწყებს ახალგაზრდა ვარსკვლავების მოძიებას, მათ გადაბირებაში სხვა გუნდების ჯობნასა და მათ დიდ ფეხბურთელებად გაზრდას.

შეხედეთ, რას მიაღწია არსენ ვენგერმა „არსენალში". მან „მეთოფეები" ინგლისისა და ევროპის წამყვან გუნდად ისე აქცია, რომ განსაკუთრებული თანხები არ დაუხარჯავს. ვენგერი ტალანტების აღმოჩენის დიდოსტატია. ის ახალგაზრდებს იაფად ყიდულობს და როდესაც ცნობილ ფეხბურთელებად აქცევს, ძვირად ყიდის.

კიდევ, თუ გნებავთ, „ევერტონის" მწვრთნელს დევიდ მოიესს დააკვირდით. იგივეს თქმა შეიძლება „ასტონ ვილასა" და „ბლექბერნზეც". ერთი სიტყვით, მაიკმა იცის, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედთან" და „ჩელსისთან" ფულის ხარჯვაში გაჯიბრების შესაძლებლობა არ აქვს. „არსენალი" და „ლივერპულიც" სხვა სამყაროდან არიან. ისინი ჩემპიონთა ლიგიდან შოულობენ დიდძალ ფულს. ერთი სიტყვით, ზედა ოთხეულს ვერ შევედრებით. გამზადებული ვარსკვლავების შეძენაში მათი დაწევის შანსი არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ამ გუნდებს ჩვენეული მეთოდით არ დავუდოთ ტოლი. აბა, შეხედეთ „უიგანს" და ანტონიო ვალენსიას. „მანჩესტერ იუნაიტედი" ამბობს, რომ მზად არის, მასში 14 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. რასაკვირველია, ვალენსია „ნიუკასლსაც" ფრიად გამოადგებოდა, მაგრამ „ნიუკასლს" თუ ასეთი ფეხბურთელის შეძენა უნდა, ის სიყმაწვილეშივე უნდა იგდოს ხელთ. რასაკვირველია, ამის გაკეთება იოლი არ არის, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, თუკი მსგავს პოლიტიკას წარმატებით ახორციელებენ „ვილა", „ევერტონი", „ტოტენჰემი", „ბლექბერნი" და თვით „უიგანიც" კი, იმავეს გაკეთებას ჩვენც შევძლებთ.

მაიკმა „ნიუკასლ იუნაიტედი" რომ იყიდა, კლუბს 100 მილიონი გირვანქა ვალი ჰქონდა და სახელფასო ფონდი 80-მილიონიანი ბიუჯეტის მქონე კლუბისთვის არანორმალურ რიცხვს, 70 მილიონს უდრიდა. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ აქ მოღვაწეობას ხალხი ოცნებით იწყებდა და კოშმარით ამთავრებდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ „ნიუკასლ იუნაიტედი", როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ, წარუმატებლობას წარუმატებლობაზე განიცდიდა. ასე განსაჯეთ, ეს კლუბი პრემიერლიგაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარჯველთაგანი გახლდათ, მაგრამ სახარბიელო შედეგს ვერა და ვერ აღწევდა. ხელფასებით პრემიერლიგაში მეხუთე იყო, მაგრამ ცხრილში მეხუთე ვერა და ვერ ხდებოდა. ამ ადგილს ახლოსაც ვერ ეკარებოდა".

ცნობისთვის: თავის დროზე „ნიუკასლ იუნაიტედმა" ალან შირერში ბრიტანეთისთვის სარეკორდო 15 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ბოლო წლებში კი ოუენში გაიღო 16 მილიონი.

ახლა ოუენის რენტაბელურობაც განვიხილოთ: რაც ის ნიუკასლშია, ყოველ კვირას 120 ათას გირვანქას იღებს და ხელფასმა დამატებით შეადგინა 16 მილიონი. მერედა, ამ ხნის განმავლობაში ოუენმა დაახლოებით 40 თამაშში მიიღო მონაწილეობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ფეხბურთელის თითოეული თამაში 800 000 გირვანქა ღირებულა. და თუ ფულს გოლებზეც გადავიანგარიშებთ? ოუენს „ნიუკასლის" სახელით 19 გოლი აქვს გატანილი, ანუ გამოდის, რომ მისი თითოეული სწორი დარტყმა 1,7 მილიონი ღირს — წარმოუდგენელი თანხაა, არა?

„მაიკლის დადანაშაულება არავის სურს, მაგრამ ვილაც უნდა დაფიქრდეს, რომ გუნდში მისი ყოლა საოცრად წამგებიანია. ობაფემი მარტინსი 7 მილიონი ღირს, ალან სმიტი — 6, დემიენ დაფი — 5 და თითოეული მათგანი კვირაში 50 ათასზე მეტს იღებს. ასევე არიან ნიკი ბატი, ემრე, შეი გივენი, მარკ ვიდუკა და ჟერემი. ასე რომ, „ნიუკასლ იუნაიტედი" დღემდე იყო კლუბი, რომელიც ბევრს იხდიდა და სანაცვლოდ ცოტას იღებდა. მოდი, შეგახსენებთ, რომ ამ კლუბს ტიტული 1969 წლის შემდეგ არ მოუგია. ამიერიდან კი სხვანაირად იქნება. მაიკ ეშლი პრაქტიკული აზროვნების გონიერი კაცია, რომელმაც გეგმა შეადგინა და ამ გეგმის ნაწილი სხვასთან ერთად კევინ კიგანიც გახლავთ. იანვარში, როდესაც კევინს თანამდებობა შესთავაზეს, ეს გეგმა დაწვრილებით გააცნეს და მაშინ ის ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ახლა, პარასკევსაც არაფერი გამოცვლილა. ვფიქრობ, თათბირი, რომელიც ეშლიმ ჩაატარა, შედეგიანი იყო. ყველასთვის კიდევ უფრო ცხადია, რა გეგმის ნაწილები ვართ და მომავალი სეზონიდან მას, იმედია, წარმატებით განვახორციელებთ".

**ბაჩუნა ძიძია**

## ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— მოეთრიე, აბა ერთი აქ, მატერაცისავით უგვზოუკვლოდ რო დაეხეტები.

— რა გინდა, ძმაო?!

— შენ ის არა ხარ, კვირას „შიმიცუს“ ერთიანი რო წამაშლევინე და „ინტერის“ მოგებას მაწერინებდი, ატვეჩაი ვარ, სიზმარი ვნახეო?

— აუ, მაპატიე რა, ძმაო, სიზმრიდან ფერები ჩოტკად ვერ გამოვიტანე. შაბათ საღამოს ისე დავთვერი და დამეძინა, შავი სათვალეების მოხსნა დამავიწყდა და ორშაბათსღა გავაიასნე, რო სიზმარში „ინტერი“ კი არა, თურმე „ფენერბაჰჩე“ მინახია. შავ-ლურჯი კი არა, ლურჯ-ყვითელი... ხო იცი, ბაზრობაზე ნაყიდი სათვალეები ცოტა ურევს და...

— სათვალეები კი არა, „ინტერი“ ყომარობს, ბიჭო, გაიგე, შე აძინიქსო?! კიდე კაი, არ ჩავწერე. კაკრაზ პასტა გამითავდა და მეთქი-ნიშანია, თორე დღეს ისე გცემდი, არცერთი ტოტალიზატორი შენ გადარჩენაზე სტავკას არ მიიღებდა.

— ვინ დაგაგოიმა, ძმაო, „ინტერი“ ყომარობსო, მაგისთანა ჩესნი გუნდი არცერთია სერია A-ში...

— შენ, ბიჭო, მატერაცის პარალელური კლასელი ხო არა ხარ? იქნებ ისიც მითხრა, რო „ბარსა“, „მილანი“ და „ჩელსიც“ ანგელოზები არიან? იცი, რა სვოდკები მომდის? შენ რო აქ დვა-ი-პიატიან კუშებს დასდევ, ჩემი საძმო ევროპაში დვიჟენიობს. „ინტერი“ — „სიენას“ მერე ერთმა ახლობელმა დამირეკა, ტიპი მანდრაჟში იყო, „ინტერის“ ერთიანი ხო არ გეწერაო. თამაშამდე ვერაფრით ვერ დაგიზვანოკე, რო გამეფრთხილებინეო...

— რა დვიჟენია და სვოდკები, რას მაბოლებ, ძმაო, ერთ სიზმარს უნდა გადამაყოლო? თუ გინდა, ხვალ „ზენიტის“ უეჭველ ერთიანს გეტყვი და სიზმრის იალღიშს გაგირასხოდებ. „ზენიტის“ მოგება დაწერე და ტანკში ზიხარ, იმენა ბეტონში ბანაობ. თან ნახე, კუშზე იკაიფე, იგივე კუშია, „როიტლინგენს“ რო ეწერა „ინგოლშტადტთან“...

— ბიჭო, შენ რა „კუკუტა“ ყოფილხარ, რეჩი რატო გამაწყვეტინე? იმას ვამბობდი, რო ეს ჩემი ახლობელი „ინტერის“ ბაზასთან ცხოვრობს და იცი, რა ხდებოდა იქ „სიენასთან“ თამაშის წინა ღამეს? კაროჩე, ახლობელს დაუნახია, რო მორატი და მატერაცი მანქანით მისულან. მერე საიდანღაც „სიენას“ მეკარე მანინგერი გაჩითულა... ნიტო ბუჩქებიდან გამოძვრა, ნიტო მანქანის ბაგაჟნიკიდან ამოსულა. მანინგერი კარში ჩამდგარა და მატერაცი პენალტებს ურტყამდა. ეგრე უვარჯიშიათ მაგ არტისტებს და ხო ნახე, თამაშზე რა იჩალიჩეს? ფუტბოლი ცოტა ხო მაინც იცი? აბა უყურე: ვიეირა, ძანეტი, კამბიასო, სუაზო, კრუზი... ნახე, რა სასტავია და ეს ზიდანის ნაცემი მატერაცი არ ურტყამს პენალტს? რომელი ზიდანი ეგა მყავს, რო არტყმევინებენ? ეხლა ხო მოწვი, ნაჩალიჩარი თამაში რო იყო? იმან დაარტყა, მანინგერმა ბურთი აიღო — მორატიმ ფული. შენ რო კვირა საღამოს ნახე, ის ჩემ ძმაკაცს ერთი სუტკით ადრე ჰქონდა ნანახი, გაიგე, შე ჰარიფო?

**ძუში ძოჩმარია**

ჩემი ბილეთი: კოეფ.

01 ზენიტი — რეინჯერსი გაზპრომი შოტლანდიას 20,0 გაზს გადაუკეტავს

სავარაუდო მოგება: კრემლის საათის დიდი ისარი

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რამდენი წააგო რომან აბრამოვიჩმა „ბოლტონთან“ „ჩელსის“ ნიჩიაზე

114140 *

# მესიჯები, მესიჯები...

**ასე და ამგვარად**, „ჩელსი“ ინგლისის ჩემპიონი ვერ გახდა. ტიტული „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიპოვა და ლურჯების მწვრთნელმა ავრაამ გრანტმაც გამარჯვებულ კოლეგას, ალექს ფერგიუსონს ქების სიტყვები მიუძღვნა.

დიახ, სწორედ გრანტი გახლდათ ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ბოლო 17 წელიწადში მეათედ გაჩემპიონებულ ფერგიუსონს პირადად მიულოცა.

„მინდა, „იუნაიტედს“ წარმატება მივულოცო. ამ გუნდს საუცხოო სეზონი ჰქონდა — განუცხადა „ჩელსის“ თავკაცმა ჟურნალისტებს — ვულოცავ პირადად ალექს ფერგიუსონსაც. ის, რასაც მან მიაღწია, აღმაფრთოვანებელია და უფრო მეტიც კი. როგორც კი თამაში დამთავრდა, მას მესიჯი გავუგზავნე. ის დიდი მწვრთნელი და დიდებული ადამიანია. მას უდიდეს პატივს ვცემ და მომავალშიც მხოლოდ კარგს ვუსურვებ, მაგრამ ხვალ კიდევ ერთი მესიჯის გაგზავნას ვაპირებ. მივწერ, რომ მომდევნო შეხვედრაში, ანუ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მის გუნდს დამარცხებას ვუსურვებ“.

კვირას, „ბოლტონის“ კარში ანდრეი შევჩენკოს მიერ გატანილმა გოლმა „ჩელსის“ საჩემპიონო იმედი გაუღვივა. მერედა, „სტემფორდ ბრიჯზე“ რატომღაც დაირხა სრულიად ველური ხმა, თითქოს უიგანში მასპინძლებმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ანგარიში გაუთანაბრეს, მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგა. გაირკვა, რომ „იუნაიტედმა“ მეორე გოლი შეაგდო, რასაც „ჩელსისა“ და „ბოლტონის“ შეხვედრის წამატებულ წუთებზე მეტ ტეილორის გამათანაბრებელი მოყვა და პრემიერლიგის ცხრილმაც საბოლოო სახე მიიღო.

გრანტი: „აწ უკვე გასული სეზონი ჩვენთვის იოლი არ გამოდგა, მაგრამ იმით, რასაც მივაღწიეთ, ძალიან კმაყოფილი ვარ. ფეხბურთელებმა მთელი გული და სული ჩააქსოვეს. ინგლისის ჩემპიონობა, რასაკვირველია, გვინდოდა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ისე მოხდა, რომ ეს საქმე ჩვენს ხელთ ერთი წუთითაც არ ჩავარდა. სამაგიეროდ, ბოლო თვეებში თამაშის დონე გავაუმჯობესეთ. რაც შეეხება გუშინდელ დღეს, რომ გავიგეთ, „იუნაიტედი“ 2:0-ს იგებდა, ყველაფერი იქ დავასრულეთ“.

კვირას, „ჩელსისა“ და „ბოლტონის“ შეხვედრას ლონდონელთა მეპატრონე რომან აბრამოვიჩიც ესწრებოდა. აღსანიშნავია, რომ მანამდე ჩუკოტკის გუბერნატორი „ლურჯების“ ბოლო ათ თამაშს აღარ დასწრებია.

„ეს მისი კლუბია და სტადიონზე მისი მოსვლა ყოველთვის სასიხარულოა — დასძინა გრანტმა — თამაშის შემდეგ ის გასახდელშიც ჩამოვიდა“.

და რასაკვირველია, ამიერიდან ავრაამ გრანტის ყველა ფიქრი 21 მაისს მოსკოვში ჩასატარებელ ჩემპიონთა ლიგის ფინალს ეხება.

„ეს ჩვენი ოცნების თამაშია და მას მოუთმენლად ველით — ამბობს „ჩელსის“ თავკაცი — ფინალში ვართ და ბუნებრივია, ფინალისტობა აღარ გვაკმაყოფილებს. გამარჯვება გვჭირდება“.

**ბაჩუნა ძედია**

## მიკუს ბორდო დაილია

**„ბორდოს“** ნახევარმცველმა იოან მიკუმ განაცხადა, რომ მომავალ სეზონს ჟირონდულ კლუბში ვეღარ გაატარებს. „მწვრთნელმა ლორან ბლანმა მითხრა, რომ მე თავისუფალი ვარ და გუნდის გამოცვლა მომიწევს. საწყენია, მაგრამ მადლობა ბლანს, რადგან პირისპირ მესაუბრა და ყველაფერი გასაგებად ამიხსნა“ — თქვა 34 წლის ფრანგმა.

მიკუ „ბორდოში“ 1996-2000 წლებშიც თამაშობდა, საიდანაც „პარმაში“, მერე კი „ვერდერში“ (2002) გადავიდა და იქ ოთხი სეზონი გაატარა. „ბორდოს“ შარშანწინ დაუბრუნდა და 23 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

## იურგენ მასწავლებელი

**მიუნხენის** „ბაიერნის“ მომავალმა მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ფეხბურთელებს ჩემპიონობა SMS-ებით მიულოცა და ყველას თავთავის მშობლიურ ენაზე მისწერა.

თვითონ კლინსმანი რამდენიმე უცხო ენას ფლობს და მის შეგირდებსაც მოუწევთ ვარჯიშების შემდეგ წიგნების ფურცვლა. ლეგიონერებმა გერმანული უკეთ უნდა ისწავლონ, გერმანელებს კი სამიდან (ესპანური, ფრანგული და იტალიური) ერთ-ერთის ათვისება დაევალებათ.

ამასთან, ყველა ვალდებული იქნება, დახვეწოს ინგლისური, როგორც მეორე ოფიციალური ენა. ნაწილობრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ იურგენ კლინსმანის თანაშემწე მექსიკელი მარტინ ვასკესია, ვინაც დიდი ხნის განმავლობაში აშშ-ში მუშაობდა.

## ბენზემას აღზევება

**„ლიონის“** ფორვარდი ქარიმ ბენზემა საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 20 წლის თავდამსხმელმა თანაგუნდელ ჟერემი ტულალანს, მარსელელ მამადუ ნიანგს და ბორდოელ ვენდელს აჯობა.

ბენზემამ ამ სეზონის 31 მატჩში 19 გოლი გაიტანა და მის გუნდს ზედიზედ მეშვიდე ჩემპიონობამდე ერთი გამარჯვებაღა უკლია.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ლიონელები ისაკუთრებენ. ქარიმ ბენზემამდე ჯილდო მიკაელ ესიენმა, ჟუნინიომ და ფლორან მალუდამ მოიგეს.

მეკარეებში პირველობა მარსელელ სტივ მანდანდას ერგო, მწვრთნელებში კი „ბორდოს“ თავკაც ლორან ბლანს, რომელმაც სადებიუტო სეზონში „ლიონს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუჩაღა.

## როსიცკი ევროზე ვერ ითამაშებს

**ჩეხეთის** ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ტომაშ როსიცკის გარეშე ითამაშებს. „არსენალის“ ლეგიონერმა ეს ამბავი თვითონ დაადასტურა ოპერაციამდე, რომელსაც დღეს გაუკეთებენ.

ნახევარმცველი საზარდულზე იანვრიდან მკურნალობდა და რამდენიმე კვირაში უნდა მორჩენილიყო, მაგრამ ავადობა გაურთულდა და საოპერაციო გახდა.

როსიცკი დაახლოებით შუა ივლისისთვის გამოკეთდება და ვარჯიშს დაიწყებს. „ეს უცუდესი მომენტია ჩემს კარიერაში — თქვა ჩეხმა — ექვსი თვის წინ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვებას ვზეიმობდი და ახლა გაირკვა, რომ იქ ვერ ვითამაშებ“.

გამორიცხული არაა, ეროვნულ გუნდში დაბრუნდეს პაველ ნედვედი, რომელმაც სანაკრებო კარიერა 2006-ში დაასრულა.

## ხავიერ როდრიგესმა გვადლახარა გადალახა

**ჰოლანდიის** ჩემპიონმა პსვ-მ გვადალახარის „ჩივასიდან“ მექსიკის ნაკრების 26 წლის მცველი ფრანსისკო ხავიერ როდრიგესი გადაიბირა. კლუბები უკვე მორიგდნენ 4 მილიონ 500 ათას დოლარზე და ახლა პსვ ფეხბურთელს ჯამაგირზე ევაჭრება.

„ვიმედოვნებთ, რომ ამ დღეებში ყველა საკითხი მოგვარდება და კონტრაქტსაც გავაფორმებთ“ — ნათქვამია ეინდჰოვენელთა ოფიციალურ განცხადებაში. მცველს, რომელსაც ნაკრებში 41-ჯერ უთამაშია, პსვ-ში თვისტომი კარლოს სალსიდო დახვდება.

ფრანსისკო როდრიგესმა „ჩივასში“ ხუთი სეზონი გაატარა და 167 მატჩში ოთხი გოლი მიითვალა.

**გაგა ხუციშვილი**

### ჩილე

აპერტურა. პლეი ოფი

1/4 ფინალი. I მატჩი

უნივ. დე ჩილე 4:2 ო ჰიგინსი

### არგენტინა

კლაუსურა. XIV ტური

ოლდ ბოისი 0:1 ურაკანი

სან ლორენსო 0:1 ინდეპენდიენტე

### ბრაზილია

სერია A. I ტური

ატლ. მინეირო 0:0 ფლუმინენსე

ფლამენგო 3:1 სანტოსი

პორტუგეზა 5:5 ფიგეირენსე

### მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

1/4 ფინალი

საპასუხო მატჩი

ნეკაქსა 0:0 ატლასი (1:1)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათლეტური ტური


ხოაკინ კაპაროსი

**„ატლეტიკომ“ „დეპორთან“ მოგებით ყოველგვარი ეჭვები გაფანტა და გაისისთვს ჩემპიონთა ლიგაზე მონაწილეობა გაინაღდა. ესპანელთა ცხრილის ბოლოში კი ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს — „ოსასუნა“, „უელვა“, „ვალიადოლიდი“, „სარაგოსა“ — ამათგან სეგუნდადივიზიონს ვინ ჩაეხუტება, ლა ლიგას ბოლო, 38-ე ტური გამოარკვევს**

## ლომები უცხოომ მოათვინიერა

ხოაკინ კაპაროსი მოდგმით ბასკი არ გახლავთ, თუმცა ამ მწვრთნელმა „ბილბაოს“ საქმეები ისე წარმართა, რომ ლამისაა, ეუსკადის ჭირვეულ ქვეყანაში ყველაზე სათაყვანო გმირად იქცეს. კაპაროსმა მიკნავებული და გაუბედურებული „ატლეტიკი“ ჩაიბარა, სადაც დისციპლინადაკარგული „მძინვარე ლომები“ (კლუბის მეტსახელია) ნებაზე იყვნენ მიშვებული და ყოველგვარი საერთო-საგუნდო ფეხზე ეკიდათ. შემდეგ გავიდა ხანი და მართალია, დღეს „ბილბაო“ პრიმერაში ფენომენური მიღწევებით ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ გუნდმა თამაშის სტაბილური სტილი მოძებნა და ნებისმიერი მეტოქისთვის ისევ საშიშ ძალად იქცა. სუსაეტას და გარმენდიას მოედანზე გამოჩენა და წარმატებული ბურთაობა კაპაროსის გამბედაობის შედეგია. იორენტემ და ამორებიეტამ კი ისე გამოიჩინეს თავი, რომ ახლა მათზე ისე საუბრობენ, როგორც ესპანეთის ნაკრების კანდიდატებზე. კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ არ ყოფილა 2007-08 წლების სეზონი „ბილბაოსთვის“ საუცხოო, მაგრამ მთავარია, „ლომთა“ მომთვინიერებელი კაცი გამოჩნდა, ვინც თავისი საქმე შესანიშნავად იცის და ამას ალბათ მომდევნო კამპანიებშიც დაამტკიცებს.

## კუნი და საამქვეყნოდ მობრუნებული მელეიბენი

მადრიდის „ატლეტიკო“ ჩემპიონთა ლიგისთვის მთელი 13 წლის განმავლობაში დაკარგული გუნდი იყო. ახლა „მელეიბენი“ სამყაროს უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირს კვლავ დაუბრუნდნენ, ესპანური გაზეთები კი წერენ, რომ „ატლეტიკოს“ ისტორიისა და გულმხურვალე ინჩასთა პატრონი გუნდისთვის ცამეტწლიანი „სალათას ძილი“ მეტისმეტად მკაცრი სასჯელია...

თუმცა აქვეა სერხიო „კუნ“ აგერო, სასწაულებრივი არგენტინელი, რომელსაც შეუძლია, სამომავლსეზონო ლიგაში გაიბრწყინოს და „მელეიბეთა“ ფანებს წარსული კრიზისი დაავიწყოს. „ატლეტიკოს“ ბოლო წარმატებული სეზონის დროს პატარა „კუნი“ შორეული ბუენოს აირესის რომელიღაც უბანში ბურთს დასდევდა და სულაც არ ფიქრობდა, რომ წლების შემდეგ დიდი გუნდის ლიდერი გახდებოდა. ის ბუნებით ახლაც „ნინიო არხენტინოა“ (არგენტინელი პატარა), ოღონდ „ატლეტიკოსთვის“ გადამწყვეტი გოლების გამტანი, მოწინაალმდეგეთა რისხვა და ფანთა სალოცავი კერპი. ამიერიდან აგეროს სიძლიერის საკუთარ ტყავზე გამოცდა მარტო პრიმერადივიზიონის კი არა, ლიგის მონაწილე გრანდების მცველებსაც მოუწევთ.

## სონეტი ნიჰათისა და პირესის შესრულებით

ნიჰათი, პირესი, ისევ ნიჰათი, კვლავ პირესი და ფანტასტიკური გოლი — „ვილიარეალი“ „ესპანიოლს“ უკვე 2:0-ს უგებს. ფრანგმა და თურქმა კი „ელ მადრიგალზე“ რაღაც შესანიშნავი მუსიკალური ნაწარმოების მსგავსი შეასრულეს. უფრო მეტიც, „ყვითლების“ გოლამდელი პას-გათამაშება მარტივი და გენიალური იყო. აი, ეს არის მანუელ პელეგრინის მიერ ნაქადაგევი ფეხბურთი — თითქოს, ახალი არაფერია, რამდენჯერმე კედელი გაითამაშეს და მორჩა... თუმცა ბრწყინვალე გოლი, სიხარულისგან გადარეული „ყვითელი“ ინჩასები და საერთოდ, წლეულს მეორეადგილოსანი დიდებული „ვილიარეალი“ არ დაგავიწყდეთ...

## დილემა სახელად ეტოო

„ბარსას“ უსუსურობამ „კამპ ნოუს“ ფანთა საბოლოო გაღიზიანება და ნერვთაშლეკა გამოიწვია. კატალონიური გუნდი „სასწაულებს“ სჩადის. რაიკარდის ბიჭებმა ახლახან „რეალთან“ ელ კლასიკოში 1:4 წააგეს, პრიმერას ბოლოსწინა ტურში შინაურ არენაზე „მალიორკასთან“ კი 2:3. ამას ყველაფერს თუ დავუმატებთ, რომ „მალიორკასთან“ საქმის წახდენამდე „ბარსელონა“ 2:0-ს იგებდა, ცხადზე ცხადი გახდება, ფანობამ მატჩის დასასრულს თავისი გუნდი და უფროსობა გამეტებით რატომ აძაგა.

ამბობენ, რომ დღეს კატალონიელი ინჩასებისთვის რონალდინიოს ან ტიერი ანრის სახელის ხსენება კორიდას ბულასთვის ცხვირწინ წითელი მულეტას აფრიალებას ნიშნავს... ფანები აგინებენ პრეზიდენტ ლაპორტასაც, ვინც თავის ლოჟაში ოლიმპოს ღმერთივით უშფოთველი რჩება მაშინ, როცა „ბარსას“ კრიზისი ახრჩობს. იქაურები სავარაუდო სამწვრთნელო ცვლილებებსაც უნდობლად ეკიდებიან. „ლაპორტამ გადაწყვიტა, რაიკარდის შემდეგ მომავალ სეზონში მწვრთნელად პეპ გვარდიოლა მიიყვანოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პეპს საძაგლად წამხდარი საქმის გამოსწორებას შეტენიან და საბოლოოდ სახელს გაუფუჭებენ... გვარდიოლა მაგარია, თუმცა ამ ეტაპზე დამრიგებლად მისი მისვლა გუნდისთვისაც წამგებიანი იქნება და მწვრთნელისთვისაც“ — უთხრა „მარკას“ „ბარსელონას“ ფანთა ერთ-ერთი დაჯგუფების ლიდერმა.

და მარადის კონფლიქტური სამუელ ეტოო? აფრიკელმა თავის ყოფილ „მალიორკას“ გოლი კი შეუგდო, მაგრამ ინჩასთაგან მაინც სტვენა დაიმსახურა, იმიტომ რომ ეტოოს ადრე „ბარსას“ მიტოვებაზე ჩამოუგდია სიტყვა — გუნდმა თუ წლეულსაც ვერაფერი მოიგო, აქ ჩემი საქმე ამოწურულად ჩათვალეთ, სათამაშოდ სხვაგან უნდა გადავიდეო. „კამპ ნოუმაც“ მუდამ ვიღაცაზე თუ რაღაცაზე გაბრაზებულ კაცს ობსტრუქციით უპასუხა. ეტოოც ახლა ისეთსავე დილემაშია, როგორც მთელი „ბარსელონა“ — ჩაუქი ლეო მესის, ანდრეს ინიესტასა და თითო-ოროლა ფეხბურთელის გამოკლებით.

## წმინდა დუდეკი

მკრეხელობისთვის გვაპატიეთ, მაგრამ რახან ესპანური პრესა იკერ კასილიასს „სან იკერად“ („წმინდა იკერად“) ნათლავს, გავბედავთ და მსგავს თიკუნს მადრიდის „რეალის“ სათადარიგო მეკარესაც მივაკუთვნებთ. კასილიასის „წმინდანობა“ დაუჯერებელი თვალფხიზლობა და წარმოუდგენლად ძნელი ბურთების მოგერიებით „რეალის“ გადარჩენაა. პოლონელიც კვირას იგივეს აკეთებდა, დუდეკს „ლა რომარედაზე“ რომ არ ევაჟკაცა, „სარაგოსა“ სამეფო გუნდს უთუოდ დაამარცხებდა. ისე, არაგონელებსაც ძველი მადრიდელი, სესარ სანჩესი ედგათ კარში, ოღონდ ამდენი „წმინდანი“ უკვე მეტისმეტია...

**ლადო ხომერიკი**



# ვან ნისტელროის და რობინიოს ასიანები

**ბერნდ შუსტერმა** „სარაგოსასთან“ რაული დაასვენა და ბურთი და მოედანი „ლა რომარედაზე“ რუუდ ვან ნისტელროისა და რობინიოს დაუთმო. მწვრთნელს იმედები ჰოლანდიელმაც გაუმართლა და ბრაზილიელმაც. ამ მატჩში სამეფო გუნდიდან რუუდმა და რობინიომ გაიტანეს და „რეალის“ ყველაზე სახიფათო ეპიზოდებიც მათი მონაწილეობით გათამაშდა.

ვან ნისტელროიმ, რომელმაც წინა ტურში გოლი „ბარსელონასთანაც“ შეაგდო, „ლა რომარედაზე“ 73 წუთი დაყო და დაამტკიცა, რომ, ტრავმათა მიუხედავად, მსოფლიოში განთქმული საგოლე ალღო არ დაუკარგავს. რუუდის ანგარიშზე 14 საპრიმერო გოლია და ეს მაშინ, როცა ჰოლანდიელი დაშავებული მუხლის გამო ფეხბურთს ორი თვით გახლდათ ჩამოცილებული. სამეფო თეთრთა ფორვარდის იღბლიანი დარტყმა კიდევ იმითაა გამოსარჩევი, რომ ეს „რეალის“ მეასე, საიუბილეო გოლი იყო 2007-08 წლების სეზონში. ვან ნისტელროიმ იგუაინისა და რობინიოს კომბინაციის შემდეგ „სარაგოსას“ კარი ეშხიანად დალაშქრა.

იუბილარია რობინიოც. მან 11 მაისს მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში თავისი რიგით მეასე მატჩი ჩაატარა. ბრაზილიელმაც ტრავმა ეს-ესაა მოირჩინა, თუმცა გოლების გატანაში ხელი არ შეშლია — არაგონელები გაამწარა და დღეს საპრიმერო მარაგში 11 გოლი აქვს. „ძველებურად სწრაფია, საშიში და საგოლე კომბინაციებშიც აქტიურად მონაწილეობს“ — ვკითხულობთ რობინიოზე „მარკაში“.

**ლადო ხომერიკი**

# ლევანტე რეალს უმედლებოდ ტოვებს

**„ლევანტეს“** საცოდაობას ესპანეთში გულგრილად ვერავინ უყურებს. გუნდი სეგუნდადივიზიონში გავარდა, უმძიმეს ფინანსურ კრიზისშია და ფეხბურთელებსაც ჯამაგირი, უკვე კარგა ხანია, არ მიუღიათ. ცხადია, ვალენსიელებმა შექმნილი სიტუაციიდან თავის დასაღწევად რამე უნდა იღონონ და „ლევანტეს“ კაპიტანმა რუბიალესმაც თავისი „მანიფესტო დელ ფუტბოლ ესპანიოლ“ (მიმართვა ესპანური ფეხბურთისადმი) გაავრცელა, რომელშიც კრიზისში მყოფნი სხვა ესპანურ კლუბებს მხარდაჭერას სთხოვენ. მიმართვას პრიმერადივიზიონის 19 გუნდის კაპიტანი აწერს ხელს.


ლუის რუბიალესი

სიტუაცია „ლევანტესთვის“ უკვე გაუსაძლისი ხდება და თუ ესპანეთის ფეხბურთის ასოციაცია უახლოეს ხანში რამე კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე არ მივიდა, ფეხბურთელები საერთო გაფიცვით იმუქრებიან. თუ ეს მოხდა, მადრიდის „რეალი“ საჩემპიონო ოფიციალურ ცერემონიალს ველარ ჩაატარებს — პრობლემებით დატვირთული ასოციაციის პრეზიდენტი ვილიარი სამეფო გუნდისთვის ლა ლიგას ოქროს მედლების გადასაცემად ველარ მოიცლის.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანტიგმირი მატერაცი



მიმდინარე სერია A-ში ასეთი უცნაური და დაძაბული ტური ერთი-ორი თუ იყო. „ინტერის“ საჩემპიონო ზეიმი ერთი ტურით გადაიდო ან სულაც აღარ შედგება, „მილანმა“ ძლივს მოპოვებული მეოთხე ადგილი მალევე დაკარგა, „ლივორნო“ გავარდა და ასე შემდეგ, ყველაფერს უფრო დაწვრილებით channel4.com-ის მორიგი ჩანახატიდან შეიტყობთ

## გამარჯვებულები

*რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა)* — ახალგაზრდა ფეხბურთელმა დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის მოთამაშეა. ადრიან მუტუს არყოფნაში მან ლიდერობა ითავა და „პარმასთან“ მნიშვნელოვან მატჩში ჩამაგალითო იყო — როცა მისი გუნდი 0:1-ს აგებდა, ჭკვიანური თამაშითა და დახვეწილი პასებით გაუძლვა „იებს“. რომაელ ალბერტო აკვილანისთან ერთად, მონტოლივო იტალიური ფეხბურთის მომავალია.

*ფრანჩესკო კოცა (რეჯინა)* — იგი უკვე კლუბის ლეგენდაა. „ემპოლისთან“ შეხვედრაში ვეტერანი კვლავ შეუდარებელი გახლდათ. ყველაფერი დადებითის საკვანძო ფიგურა იყო, რაც კი რეჯოკალაბრიელებს გაუკეთებიათ. როცა შეცვალეს, ხალხი ფეხზე წამოუდგა და მინდვრიდან ოვაციებით გააცილა. მის გარეშე „რეჯინა“ ალბათ ვერ დარჩებოდა სერია A-ში.

*დავიდე ბალარდინი (კალიარი)* — ცოტა თუ ელოდა, რომ პოსტს შეინარჩუნებდა, როცა დეკემბერში ნედო სონეტის ნაცვლად მივიდა გუნდში. ერთი ხანობა სარდინიელები უსაფრთხო ზონას 10 ქულით ჩამორჩებოდნენ და ყველას მიერ ჩამოწერილნი იყვნენ. თუმცა უმაღლეს დონეზე მუშაობის არცთუ დიდი გამოცდილების ტაქტიკოსმა როგორღაც შეძლო ვითარების გამოსწორება და კვირას სტუმრად „უდინეზესთან“ მოულოდნელი მოგებით ოფიციალურად გაუნაღდა კლუბს სერია A-ში დარჩენა.

## დამარცხებულები

*მარკო მატერაცი (ინტერი)* — ყველამ შეიძლება გააფუჭოს პენალტი, მაგრამ როცა შენი გუნდის ჩემპიონობის ბედი წყდება, ცოტა უფრო ფრთხილად უნდა იყო. „მატრიცა“ შტატიანი პენალისტი არ არის, მას გმირობა უნდოდა და ხულიო კრუსს დარტყმა არ დაანება, მე გავიტანო, მაგრამ ალექს მანინგერს ვერ აჯობა. მატერაციმ საკუთარი თავი გუნდზე წინ დააყენა, ასეთ მნიშვნელოვან მომენტში ეს არაფრით არ უნდა გაეკეთო.

*ალესანდრო ნესტა (მილანი)* — „როსონერის“ ერთადერთი ფეხბურთელი არ არის, რომელმაც „ნაპოლისთან“ ცუდად ითამაშა. თუმცა რამდენიმე ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ თუ არ ნახავთ, დაჯერება გაგიჭირდებათ. მათ შორის არის სულელურად „აკიდებული“ პენალტიც. „მილანმა“ თავისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი წააგო და... ნახვამდის ჩემპიონთა ლიგა?

*მარკო როსი (პარმა)* — ახალგაზრდებისგან შეცდომები რა გასაკვირია, მაგრამ მან „პარმას“ ფლორენციაში ქულის მოპოვების ყველა იმედი მოუკლა. გასაგებია, რომ „ფიორენტინას“ მეორე გოლის მერე ნერვები ველარ მოთოკა, რის გამოც წითელი ბარათი მიიღო. თუმცა, თუ უმაღლეს დონეზე თამაში გინდა, დისციპლინა ყოველთვის უნდა დაიცვა.

## გოლები

*ანტონიო კასანო (სამპდორია)* — ხულიგანმა“ მორიგი ლამაზი გოლი შეაგდო. „პალერმოს“ კარში ჯარიმა საკმაოდ შორს დაინიშნა და ცოტა თუ იფიქრებდა, რომ იქიდან გატანა რეალური იქნებოდა. თუმცა კასანომ ერთი შეხედვით ძალიან იოლად ჩაახვია ბურთი ცხრიანში.

*ედგარ ბარეტო (რეჯინა)* — რაღაც განსაკუთრებული უნდა გაგეკეთებინა, რათა „ემპოლის“ ჩაკეტილი დაცვა გადაგელახა და ბარეტომ ეს შეძლო. ნახევარმცველმა დაახლოებით 30 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაუტანა ტოსკანელებს.

*მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი)* — სლოვაკმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა. მან ჯენარო გატუზოს მოპარა ბურთი, ბევრი ირბინა, ჩვენებური კახა კალაძე გააბითურა და ჟელკო კალაჩსაც მშვიდად აჯობა.

## რიცხვები

*ბომბარდირთა სამეული:* ალესანდრო დელ პიერომ სერია A-ში თავისი მე-19 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში თანაგუნდელ დავიდ ტრეზეგესა და ჯენოელ მარკო ბორიელოს გაუტოლდა. თუ ბოლო ტურის მერეც ორივე ტურინელი ამ სიის სათავეში დარჩება, ეს სერია A-ს ისტორიაში მეორე შემთხვევა იქნება. 1988 წელს ნეაპოლელები დიეგო მარადონა (15 გოლი) და ანტონიო კარეკა (13 გოლით) ბომბარდირთა დავის სათავეში იყვნენ.

*სიურპრიზი „სიენასგან“:* ტოსკანელებმა მიმდინარე სეზონში დამსახურებულად მოიპოვეს გიგანტთა გამამწარებლების სტატუსი. „სიენამ“ მოუგო „იუვენტუსს“, „რომასა“ და „ფიორენტინას“, „მილანს“, „ინტერს“ და „უდინეზეს“ კი ფრედ ეთამაშა

*პენალტების პრობლემა:* „ინტერმა“ თერთმეტმეტრიანის გასაფუჭებლად ყველაზე ცუდი დრო ამოირჩია. მარკო მატერაცი წინა ცხრა ჯერზე შეუცდომელი იყო, მაგრამ „სიენასთან“... „ნერაძურის“ მიმდინარე სეზონში სულ სამი პენალტი დაარტყმევინეს და მილანელებმა აქედან ერთადერთი გაიტანეს.

**გიორგი ძაძაგაძე**

# რომა: სკუდეტოს ჩვენ ვიმსახურებთ

**ლუჩანო სპალეტის** „რომა“, რომელსაც სერია A-ში 81 ქულა აქამდე არასდროს დაეგროვებინა, ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს და ეცდება, „ინტერს“ ბოლო ტურში წაგლიჯოს სკუდეტო. ამისთვის „გლადიატორებმა“ აუცილებლად უნდა მოუგონ „კატანიას“ და „პარმას“ იმედი ჰქონდეთ „ნერაძურისთან“ მატჩში. თუ ორივე გუნდი თანაბარ ქულას დააგროვებს, ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებლის გამო უპირატესობა „ინტერს“ მიენიჭება.

„რომას“ ბანაკში ახლა კიდევ უფრო დიდი სინანულით იხსენებენ „სიენასა“ და „ლივორნოსთან“ დაკარგულ ქულებს და თვლიან, რომ ამჟამად „ინტერზე“ უკეთესი გუნდი ჰყავთ.

ლუჩანო სპალეტი: „ჩვენ დავიმსახურეთ, რომ სკუდეტოსთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ. ამას ვამბობ იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც მიმდინარე სეზონში გავაკეთეთ. ასე უნდა გავაგრძელოთ. სამწუხაროდ, ტრავმები ყველაზე ცუდ მომენტში იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ რას ვიზამთ. ეს გრძელი და დამღლელი სეზონი გახლდათ და მაქსიმალურად კარგად უნდა ჩავამთავროთ. ფაქტია, რომ მეორე წრეში ჩვენ საუკეთესონი ვართ, საუკეთესო შედეგებით“.

„საოცარი 90 წუთი გველის. დასაკარგი არაფერი გვაქვს, „კატანიასთან“ ყველანაირად უნდა ვცადოთ მოგება და დაველოდოთ პარმული მატჩის შედეგს“ — თქვა „რომას“ კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ, ვინც ტრავმის გამო მომავალ სეზონამდე ვერ ითამაშებს.

„რომას“ ნახევარმცველი დანიელე დე როსი: „ბოლომდე ბრძოლას ვაგრძელებთ. აუცილებლად უნდა დავაფასოთ სიენელთა გარჯა. მათ ფეარ პლეის წესები დაიცვეს და დამტკიცდა, რომ ეს მხოლოდ ინგლისურ გუნდებს კი არა, სხვებსაც შეუძლიათ. სამწუხაროდ, ისევ „ინტერის“ მდევრის როლში ვართ და „კატანიასთან“ მძიმე მატჩი გველის, თუმცა მიმდინარე სეზონში არავინ იმსახურებს სკუდეტოს ისე, როგორც ჩვენ. თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ დუელი დიდ გუნდთან გვაქვს, რომელიც ბოლო დროს ცუდ ფორმაშია, მაგრამ მაინც ძალიან ძლიერია“.

**ქოქი ძანდელაძე**



მასიმო მორატი მატერაცის ოინმა განარისხა

# გიგანტების მკვლელი სიენა

## ბერეტა და მისი ოჯახი საფრთხეშია

**მილანის** „ინტერი“ ერთი ხანობა 11-ქულიანი უპირატესობით ლიდერობდა სერია A-ს. კვირას, „სიენასთან“ ვერმოგებს შემდეგ კი „რომას“ ქულითღა უსწრებს და ბოლო ტურში გადარჩენისთვის მებრძოლ „პარმას“ სტუმრობს, რომელსაც ასევე მხოლოდ და მხოლოდ მოგება სჭირდება. ასე რომ, რობერტო მანჩინისა და მის გუნდს დიდი სანერვიულო ელით.

„ხუთი-ექვსი გოლი უნდა გაგვეტანა, მაგრამ ვერ შევძელით, რაც ძალიან სამწუხაროა. რას ვიზამთ, ახლა „პარმას“ დამარცხებაზე უნდა ვიფიქროთ. გვეშინია თუ არა? სრულიადაც არა. რასაკვირველია, ვწუხვართ, რომ სკუდეტო ბოლო ტურამდე ვერ გავინაღდეთ, მაგრამ ცუდად არ გვითამაშია. მეტოქემ კარში სულ სამჯერ დაარტყა და ორი გოლიც გაგვიტანა. უბრალოდ, ბოლო ტურში ამდენი მომენტი აღარ უნდა გავაფუჭოთ“ — თქვა რობერტო მანჩინიმ.

„ინტერის“ წარუმატებლობაში მთავარი დამნაშავე მარკო მატერაცია, ვინც 79-ე წუთზე ხულიო რიკარდო კრუსს პენალტის დარტყმა არ დაანება, ბურთთან თავად მივიდა და ვერ გაიტანა. კრუსი ამან გააცოფა, მაგრამ დუგლას მაიკონმა დააშოშმინა.

ვიდეოკამერებმა კი იმ მომენტში დაიჭირეს „ინტერის“ გაბრაზებული პრეზიდენტი მასიმო მორატი, როცა მან თავის დას გადაულაპარაკა — ყველაფერი მატერაცის ბრალიაო.

რობერტო მანჩინი: „ჩვენთან პენალტისტი კრუსი იყო, მერე ბალოტელი და მხოლოდ შემდეგ მატერაცი. თეთრმეტმეტრიანი ყველამ შეიძლება გააცუდოს. ეგებ კრუსსაც ვერ გაეტანა, მაგრამ ამას ველარასდროს გავიგებთ. ზოგჯერ გგონია, რომ პენალტი შენ უნდა დაარტყა, გრძნობ, ამას კარგად გააკეთებ, მაგრამ მართალი არ ხარ. შეიძლებოდა, ეს ინციდენტი არ მომხდარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა, ასეთია ფეხბურთი. ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და „პარმაზე“ ვიფიქროთ, რომელსაც ქულები ასევე ძალიან სჭირდება. გვახსოვდეს ისიც, რომ „რომასაც“ რთული გასვლა ელის „კატანიასთან“ და უპირატესობა ისევ ჩვენს მხარესაა“.

„სამწუხაროდ, ვერ გავიტანე. ვიგრძენი, რომ მე უნდა დამერტყა პენალტი, მჯეროდა, გავიტანდი, მაგრამ შევცდი... ალბათ ჯობდა, კრუსისთვის ხელი არ შემეშალა. მოგვიანებით მოვუბოდიშე კიდეც. ვიცი, რომ ფანები და კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან გავაბრაზე, ვწუხვარ და ბოდიშს ვიხდი“ — განაცხადა მატერაციმ.

„სიენასთან“ მატჩში „ინტერისთვის“ კიდევ ერთი ცუდი რამ მოხდა. ესტებან კამბიასომ ტრავმა მიიღო და „პარმასთან“ ვერ ითამაშებს. სავარაუდოდ, არგენტინელს 24 მაისს „რომასთან“ იტალიის თასის ფინალის გამოტოვებაც მოუწევს.

შეგახსენებთ, რომ „ნერაძურის“ ლაზარეთში კიდევ ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, ივან კორდობა, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ლუიშ ფიგუ, სანტიაგო სოლარი და კრისტიან კივუ არიან. ბოლომდე არც დეიან სტანკოვიჩია ჯანმრთელი.

„ნერაძურის“ გაბრაზებული ფანების გარკვეულმა ჯგუფმა კი გადაწყვიტა, „სიენას“ მწვრთნელ მარიო ბერეტაზე ეყარა ჯავრი. ბერეტა მილანელია და თავისი ქალაქის ორ გუნდს შორის უპირატესობას „როსონერის“ ანიჭებს და არა „ინტერს“.

გარდა ამისა, 48 წლის სპეციალისტმა მატჩამდე განაცხადა, უმოტივაციოდ კი ვართ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ „ინტერის“ შესაჩერებლადო და აასრულა კიდეც. მას სტადიონი დაცვის თანხლებით დაატოვებინეს. ბერეტას აგინებდნენ და რამდენიმე ფანმა მიაძახა — ვიცით, სადაც ცხოვრობ და შენთან მივდივართო.

პოლიციამ სასწრაფოდ წაიყვანა მისი მეუღლე და ორი შვილი სახლიდან. ბერეტასა და მის ოჯახს ახლაც იცავენ. ისინი მილანში ალბათ კარგახანს არ დაბრუნდებიან.

**გიორგი ძაძაგაძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 310 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 2.50 | 3.20 | 2.65 | 1.40 | 1.28 | 1.44 |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 311 | ჰალი-უოტფორდი | 2.20 | 3.10 | 3.25 | 1.28 | 1.31 | 1.58 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 347 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 348 | სტოკპორტი-უიკომბი | 2.05 | 3.20 | 3:30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 346 | ექსეტერი-კემბრიჯი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 349 | გრეტნა-ჰართსი | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| | | საბერძნეთი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 360 | აეკ-პანათინაიკოსი | 2.30 | 3.00 | 2.70 | 1.30 | 1.24 | 1.42 |
| 19:00 | 361 | არისი-პანიონიოსი | 1.70 | 3.20 | 4:30 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 260 | დუბლინი-გალვეი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:45 | 261 | ფინ ჰარპსი-შემროკი | 2.60 | 3.10 | 2.30 | 1.41 | 1.22 | 1.32 |
| 22:45 | 262 | ბოჰემიანი-კორკი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 22:45 | 263 | დერი-კობი | 1.40 | 3.60 | 6.50 | 1.00 | 1.15 | 2.31 |
| 22:45 | 264 | დროგედა-სტ.პატრიკსი | 2.25 | 3.10 | 2.80 | 1.30 | 1.24 | 1.47 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 265 | სლიგო-ბრეი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 356 | ხაგუარესი-კრუს ასული | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 342 | უნ კატოლიკა-კოლო კოლო | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 343 | ჰიგინსი-უნ ჩილე | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 344 | ნუბლენსე-კობრელოა | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 345 | აუდასი-ევერტონი | 1.55 | 3.50 | 5.30 | 1.07 | 1.19 | 2.10 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.60 | 3.70 | 5.10 | 1.11 | 1.21 | 2.14 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | გენტი-ანდერლეხტი | 3.50 | 3.20 | 1.90 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 18 მაისი | | | | | | |
| 23:30 | 362 | პორტუ-სპორტინგი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 359 | ოლიმპიაკოსი-არისი | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | პოლონეთი. თასი | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 354 | ვისლა-ლეგია | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | ჩეხეთი. თასი | | | | | | |
| | | 13 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 355 | სპარტა -ლიბერეცი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | ხორვატია. თასი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 358 | ჰაიდუკი-დინამო ზ | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 350 | ბოკა ხუნიორსი-ატლასი | 1.33 | 4.20 | 7.50 | 1.01 | 1.12 | 2.69 |
| 23:45 | 351 | სან პაულუ-ფლუმინენსე | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | 15 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 352 | სან ლორენსო-ქუიტო | 1.40 | 3.80 | 6.90 | 1.02 | 1.16 | 2.45 |
| 23:45 | 353 | ამერიკა-სანტოსი | 2.20 | 3.10 | 2.90 | 1.28 | 1.25 | 1.49 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 97 | ზენიტი-რეინჯერსი | 2.25 | 3.10 | 3.20 | 1.30 | 1.32 | 1.57 |
| 22:45 | 98 | ზენიტი-რეინჯერსი 0:1 | 4.30 | 3.50 | 1.60 | | | |
| | | ხელბურთი | | | | | | |
| | | კაცები გერმანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 14 მაისი | | | | | | |
| 22:15 | 323 | ნორდჰორნი-ჰამბურგი | 1.90 | 8.00 | 2.00 | 1.53 | 1.00 | 1.60 |
| 22:15 | 324 | გროსვალსტადტი-გუმერსბახი | 2.30 | 9.00 | 1.70 | 1.83 | 1.00 | 1.42 |
| 22:15 | 325 | გოპინგენი-კილი | 8.50 | 12.00 | 1.07 | 4.97 | 1.00 | 1.00 |
| 22:15 | 326 | რეინ ნეკარი-ფლენსბურგი | 2.05 | 8.00 | 1.85 | 1.63 | 1.00 | 1.50 |
| | | ხელბურთი | | | | | | |
| | | კაცები დანიის ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 322 | ფსკ-სვენდბორგი | 1.40 | 10.00 | 3.00 | 1.22 | 1.00 | 2.30 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10097 | ზენიტი-რეინჯერსი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10310 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10311 | ჰალი-უოტფორდი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10349 | გრეტნა-ჰართსი | 5.50 | 2.10 | 1.80 | 1.51 | 1.35 | 1.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11097 | ზენიტი-რეინჯერსი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11310 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11311 | ჰალი-უოტფორდი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11349 | გრეტნა-ჰართსი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10,00 | 2.20 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12097 | ზენიტი-რეინჯერსი | 1.55 | 2.30 |
| 12310 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 1.60 | 2.00 |
| 12311 | ჰალი-უოტფორდი | 1.60 | 2.00 |
| 12341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.60 | 2.00 |
| 12349 | გრეტნა-ჰართსი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13097 | ზენიტი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |
| 13310 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 1.80 | 1.80 |
| 13311 | ჰალი-უოტფორდი | 1.80 | 1.80 |
| 13341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.90 | 1.70 |
| 13349 | გრეტნა-ჰართსი | 1.80 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14097 | ზენიტი-რეინჯერსი | 1.80 | 2.00 |
| 14310 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 1.85 | 1.95 |
| 14311 | ჰალი-უოტფორდი | 1.80 | 2.00 |
| 14341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.30 | 2.50 |
| 14349 | გრეტნა-ჰართსი | 2.60 | 1.20 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15097 | ზენიტი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15310 | ბრისტოლი-კრ. პალასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ჰალი-უოტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15349 | გრეტნა-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16097 | ზენიტი-რეინჯერსი | 1.58 | 2.10 |
| 16310 | ბრისტოლი-კრ. | 1.80 | 1.85 |
| 16311 | ჰალი-უოტფორდი | 1.55 | 2.20 |
| 16341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.22 | 3.40 |
| 16349 | გრეტნა-ჰართსი | 4.20 | 1.15 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17097 | ზენიტი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17310 | ბრისტოლი-კრ. | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ჰალი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.85 | 1.95 |
| 17349 | გრეტნა-ჰართსი | 1.85 | 1.95 |

გაიხსნა კროკოს ახალი ფილიალი
მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 კვ. II კორპ.

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე



კონკურსის გამარჯვებული ავთანდილ გურასაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

# ქართულმა სპორტმა ფოტოებს შეხედა

**გალერეა** „მუზაში“ ფოტოკონკურს „ქართული სპორტის“ დახურვის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. გამოფენა 9 მაისს გაიხსნა და მასზე 14 ფოტოგრაფის 120 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. დახურვის ცერემონიალზე ფოტოკონკურსის გამარჯვებულ-პრიზიორები დაასახელეს.

ნომინაციაში — „საუკეთესო თანამედროვე ფოტო“ პირველ ადგილს და 1000 ლარს დაეუფლა ზურაბ ქურციკიძე. ამავე ნომინაციაში მეორე ადგილი დაიკავა ბადრი კეთილაძემ. მას ჯილდოდ 700 ლარი გადაეცა, ხოლო მესამე ადგილზე გასულმა გოგიტა ბუხაიძემ 500 ლარი მიიღო.

ნომინაციაში „ფოტო წარსულიდან“ გაიმარჯვა ედუარდ გიგილაშვილმა. იგი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა პერსონალური კომპიუტერით დააჯილდოვა.

თავისუფალ თემაზე დაწესებულ ნომინაციაში — „ცხოვრება მშვენიერია“ — გამარჯვებულ ზურაბ გენგიურს კომპანია „ელ ჯის“ ოფიციალურმა დისტრიბუტორმა საქართველოში, კომპანია „ალგორითმმა“ ლეპტოპი გადასცა.

ფოტოკონკურსის გრან-პრი კი ავთანდილ გურასაშვილმა მიიღო. პრიზად მასაც ლეპ ტოპი გადაეცა.

ბოლოს კი სპორტულ ფოტოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის ალექსანდრე კოტორაშვილი დააჯილდოვეს ფოტოაპარატით.

აღსანიშნავია, რომ ფოტოკონკურსი უკვე მეორე წელია ტარდება და მასში მონაწილეობას როგორც პროფესიონალები, ასევე მოყვარულებიც იღებენ.

**ზურაბ მიგრიაული**

სუმო

# კოკაის ცუდი და ტოჩინოშინის კარგი

**უიღბლო** გამოდგა მაისის ბაშოს საწყისი ორი დღე ლევან ცაგურიასთვის. აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირას სტატუსით მოასპარეზე კოკაიმ ჯერ აღმოსავლეთის ოძეკი კოტომიცუკისთან წააგო, ხოლო შემდეგ კი იოკოძუნა ჰაკუხოსთანაც დამარცხდა.

კიდევ ერთმა ქართველმა ლევან გორგაძემ, რომელიც უმაღლეს, მაკუუჩი დივიზიონში ახლად აღზევებულა და ტოჩინოშინის სახელით გამოდის, ორივე შეხვედრაში იმარჯვა. თავის სადებიუტო ორთაბრძოლაში ტოჩინოშინიმ მე-14 მაეგაშირა იოშიკაძეს ოშიდაშით სძლია. გუშინ კი დასავლეთის მე-16 მაეგაშირა ხაკუბას უკვატენაგეთი მოუგო.

დღეს ლევან ცაგურია მრავალგზის ჩემპიონს, კიდევ ერთ იოკოძუნა ასასორიუს შეხვდება, ლევან გორგაძე კი კოტოასუგასთან გამოცდის ძალებს.

**ზურაბ მიგრიაული**



⛹ კალათბურთი ⛹

# საქართველოს ჩემპიონატი

## სუპერლიგა. ნახევარფინალი

12 მაისი

სპორტის სასახლე

*ვითა 0:3 ენერჯი-ინვესტი*

ვითა 80:111 ენერჯი-ინვესტი

*20:26 20:23 15:36 25:26*

**ვითა:** წივწივაძე (8), ნ. ნოზაძე (14), მ. ბერიშვილი (31), გვიმრაძე (2), მარკოიშვილი (17); ძიძიგური (6), ბეჟანიშვილი (2), ცენცვაძე, კორძაძე

**ენერჯი:** გამყრელიძე (18), ლეჟავა (9), გოგობერიშვილი (14), სტეფანოვი (16), ბაბიაშვილი (16); ჩიტაშვილი (11), ჭოჭუა (7), ტუჯანი (8), დიდია (5), ცეკვავა (5), მაჭავარიანი (2), დვალიშვილი

**მსაჯები:** მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

*ავიამშენი 2:1 თსუ*

ავიამშენი 89:87 თსუ

*23:15 21:15 24:22 21:35*

**ავიამშენი:** ტულუში (15 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ნიკოლაძე (16), კვიმსაძე (10), ნინიაშვილი (15), მათიაშვილი (4 ქულა, 10 მოხსნა); მინაშვილი (17), იმნაძე (5), ბერაია (7), მოსეშვილი

**თსუ:** დ. ბერიშვილი (4), არწივიძე (8), ფანჩულიძე (19), ბარბაქაძე (8), ყველაშვილი (3); კეიდია (19), ხეცურიანი (17), კოხრეიძე (9), ტყეშელაშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ გელოვანი

# ენერჯი-ინვესტმა ენერგია დაზოგა



ზვიად ბაბიაშვილის „ენერჯი-ინვესტმა“ ფინალში შეაბიჯა

გურამ წულუკიძის ფოტო

**საჩემპიონო** რბოლას ერთი გუნდი გამოეთიშა, შესაბამისად ერთი ფინალისტის ვინაობაც გაირკვა. „ენერჯი-ინვესტმა“ რუსთავში მოგებულ 2 გამარჯვებას გუშინ თბილისში ერთიც მოაყოლა და ისე, რომ თავი თითქმის არ შეუწუხებია, ფინალში გავიდა.

სერიის რუსთაული მატჩების დარად, ეს შეხვედრაც იოლად მოიგეს ქვემოქართლელებმა. „ვითა“ არაა ისეთი გუნდი, ასე უბრძოლველად დაეთმო ფინალის საგზური, მაგრამ ზურაბ ტომარაძის შეგირდებს თავს ზემოთ ძალა არ ეყოთ. ყველაფრის თავიდათავი თბილისელთა ტრავმებია. პლეი ოფის დაწყებამდე ვითელებს ცენტრი დავით ბერძენიშვილი გამოაკლდათ. მანამდე ბუბა ბერიშვილმაც ოპერაციის გამო დაასრულა ეს სეზონი, ახლა კი თბილისელებს გუნდის ძრავა, ფეხმარდი გამთამაშებელი გიორგი მარხვაშვილიც აკლდათ. განახევრებული გუნდით რიგითი მეტოქის დამარცხებაა ძნელი და რეგულარული ჩემპიონატის მომგების ხომ საერთოდ. ამიტომაც იყო, რუსთაველებმა სულ ღიღინ-ღიღინით რომ გაივაკეს ფინალში და საჩემპიონო ბრძოლისთვის მოსამზადებლადაც მეტოქეზე გაცილებით მეტი დრო აქვთ. თანაც მეორე ნახევარფინალურ ჯახს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, საქმე მეხუთე გადამწყვეტ მატჩამდე მივიდეს. „ავიამშენისა“ და თსუ-ს ძალები თითქმის თანაბარია და ეს გუშინდელმა მატჩმაც ცხადყო.

ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა, როდესაც კოტე ტულუშის დიდოსტატურმა თამაშმა „ავიატორები“ სერიაში 2:1 დააწინაურა. მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო, ამ მატჩში სენსაცია გამომცხვარიყო და აი, რატომ: ლევან მოსეშვილის გუნდმა თამაში 2 ქულით, ანუ თანაბარ ბრძოლაში მოიგო, მაგრამ გამარჯვება რომ სათუო გაიხადა, ეს უკვე დიდი მოულოდნელობა იყო. „ავიამშენი“ მთელი შეხვედრის მანძილზე ლაღად თამაშობდა, საფინალო სირენამდე ოთხიოდ წუთით ადრე 19(!) ქულასაც იგებდა, მაგრამ ნაადრევად დაარხეინება კინაღამ ძვირად დაუჯდა. ამხელა ჩამორჩენის ასე მოკლე დროში გაბათილება კი უდიდესი სენსაცია იქნებოდა, რასთანაც სტუდენტები, როგორც ხედავთ, ძალიან ახლოს იყვნენ.

თქმა არ უნდა, რომ „ავიამშენმა“ თამაში ნაადრევად ჩათვალა მოგებულად და ბოლო წუთებზე ამიტომაც ჩავარდა რთულ სიტუაციაში. როცა სირენამდე 4 წუთით ადრე გიორგი ნიკოლაძემ მორიგი სამქულიანი მიითვალა, „ავიატორები“ 83:64 დაწინაურდნენ და საქმე ბევრმა მოთავებულად ჩათვალა. მოსეშვილის შეგირდები, აბა, რას წარმოიდგენდნენ, რომ სტუდენტები მატჩს ინტრიგას დაუბრუნებდნენ და მოგებაზეც გაიწევდნენ.

თსუ-ს დამრიგებელმა ნაცადი პრესინგი დაუპირისპირა „ავიატორებს“, რომლებიც თავიდან არხეინობდნენ, მაგრამ როცა სტუდენტებმა 2 წუთში 10 ქულა გააბათილეს, მერე კი ჩამოსცხათ, მღევრები ძალიან მჭიდროდ ეთამაშებოდნენ მეტოქეს და აიძულებდნენ, ბურთი დაეკარგათ. მართალია, ამ საქმეში მთელი სტუდენტობა იყო ჩართული, მაგრამ ირაკლი კეიდიას გარჯა მაინც გამოსარჩევია. მან ბოლო წუთებზე სამჯერ ჩაუჭრა „ავიატორებს“, შეტევაშიც იყოჩაღა და სტუდენტებმა ორწუთიანი მონაკვეთი 13:0 მოიგეს.

თამაშის დასრულებამდე წუთნახევარი რჩებოდა, თსუ-ს კი მხოლოდ 4 ქულის გაბათილებაღა აკლდა სენსაციის მოხდენამდე. მოსეშვილმა წუთშესვენება აიღო, დაბნეული შეგირდები დაამშვიდა და შედეგიც მოიმკა — გააზრებული შეტევა რიჩარდ მათიაშვილმა ორქულიანით დააგვირგვინა და დასრულებამდე 70 წამით ადრე „ავიამშენი“ 87:81 დაწინაურდა.

არც აქ გატყდა თსუ, თუმც ამაში სტუდენტებს მათიაშვილისა და მოსეშვილი ქმცროსის აცილებული ჯარიმებიც დაეხმარა. თავის მხრივ, შიო ხეცურიანმა ფარქვეშიდან ჩააგდო, ხოლო სირენამდე 22 წამით ადრე დავით ბარბაქაძემ საჯარიმოები მიითვალა და „ავიატორთა“ ლიდერობიდან თითქმის არაფერი დარჩა - 87:85. აქ ერთხელაც იყოჩაღა კოტე ტულუშმა, რომელმაც იმ მიზნით არ მისცა არავის პასი, რომ საჯარიმო ხაზზე თავად დამდგარიყო. ეს რომ ასე მოხდებოდა, ცხადი იყო. დრო ილეოდა და სტუდენტებმაც, შეტევის უფლება რომ მოეპოვებინათ, დასრულებამდე 12 წამით ადრე ტაქტიკური ჯარიმა აიღეს. ტულუშმა აუღელვებლად ჩააგდო ორივე საჯარიმო, „ავიამშენი“ 4 ქულით გაალიდერა და თსუ-ს წამიწევის შანსი მოუსპო.

ლევან მოსეშვილის გუნდი სერიაში 2:1 დაწინაურდა და ფინალამდე ერთი ნაბიჯი უკლია, რომელიც, სტუდენტების შეუპოვრობიდან გამომდინარე, ურთულესი გადასადგმელი იქნება.

**ირაკლი პერტაია**

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

# სახლში ყველა მაგარია

11 მაისი

## დასავლეთი

### ლეიკერსი 2:2 იუტა

**იუტა 123:115 ლეიკერსი**

ძირითადი დრო 108:108

**იუტა:** უილიამსი (29 ქულა, 14 პასი), ოქური (18 ქულა, 11 პასი), კირილენკო (15), ბუზერი (14 ქულა, 12 მოხსნა), კორვერი (14), ჰარპრინგი (12)
**ლეიკერსი:** ბრაიანტი (33 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ოდომი (26 ქულა, 13 მოხსნა), გასოლი (23 ქულა, 10 მოხსნა), ფიშერი (15), ვუიაჩიჩი (11)

**ეს** იყო სერიის ყველაზე დრამატული ჯახი, მაგრამ უჩვეულო მაინც არაფერი მომხდარა, რაკი გამარჯვება კვლავ მასპინძლებს დარჩათ და სერიაში ანგარიშიც გათანაბრდა.

„იუტა“ თავიდანვე ბრძოლის სურვილით დაძაგრული შევიდა მოედანზე და პირველივე მეოთხედშიც 10 ქულა აართვა მეტოქეს. მაგრამ „ლეიკერსიც“ ხომ არაა ის ჩიტი, რომელსაც პირველ ტაიმში გაბდღვნიან და მეორეში შესანსლავენ. ბრაიანტმა და კომპანიამ მეორე 12-წუთეულშივე შეუბრუნეს ხელი მასპინძლებს და ტაიმიც 55:55 დასრულდა.


პაუ გასოლი (მარცხნივ) და იუტელი კარლოს ბუზერი

მეორე ტაიმში ტრიბუნებმა გამოაცოცხლა მასპინძელთა მიძინებული თავდამსხმელი კარლოს ბუზერი, ვინაც წინა შეხვედრაში ძლივს საკუთარ თავს დაემსგავსა და 27 ქულითა და 20 მოხსნით გატეხა „ლეიკერსი“, მაგრამ ახლა, პირველ ტაიმში ისევ ჩათვლიმა. მეორეში ბუზერმა 12 ქულა გააკეთა და მისი და დერონ უილიამსის ლიდერობით „ჯაზმენებმა“ მეოთხე მეოთხედის შუაწელს 12-ქულიანი უპირატესობაც შეიქმნეს. ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ „იუტა“ შინ მეორე მოგებასაც აართმევდა „ლეიკერსს“ და ამ სეზონში საკუთარ კედლებში 45 ცდიდან მე-40-ედ იმარჯვებდა. მაგრამ გაჯიუტდა სტუმართა გამთამაშებელი დერიკ ფიშერი, ვინაც კობი ბრაიანტს გვერდში ამოუდგა, ამ დრამატულ პერიოდში 10 ქულა გააკეთა და „ლეიკერსმა“ მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა შეძლო.

ბევრი სპეციალისტი კობი ბრაიანტს ტყუილად როდი თვლის თანამედროვეობის საუკეთესო კალათბურთელად. ის განსაკუთრებით საშიში ხდება უკანასკნელ წუთებში და როცა ყველას ნერვები დაწყვეტაზე აქვს, კობი საკუთარ თავში 200 პროცენტით დარწმუნებული ამზადებს მომაკვდინებელ დარტყმებს.

მაგრამ ამ ჯერზე „ჯაზმენებმა“ ბოლომდე დაუკრეს თავიანთი მუსიკა. ისინი აგრესიულად უტევდნენ და უამრავი ჯარიმა ჩაუყარეს სტუმრებს, ხოლო თავად ბრაიანტს სანაქებოდ უმეურვევა ანდრეი კირილენკომ, ვინაც ორჯერ მარტო ოვერტაიმში დაუფარა მას და შეტევაშიც ივარგა, როცა სირენამდე 35 წამით ადრე ორიანიც ჩააგდო და საჯარიმოც.

### ნიუ ორლეანი 2:2 სან ანტონიო

**სან ანტონიო 100:80 ნიუ ორლეანი**

**სან ანტონიო:** დანკანი (22 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება), პარკერი (21), ჯინობილი (15), უდოკა (15), ფინლი (12)
**ნიუ ორლეანი:** პოლი (23), პარგო (11), ვესტი (11)

ჯერჯერობით ვერც ამ სერიაში გატეხეს სტუმრებმა მასპინძლები. „სან ანტონიომ“ შინ მეორედაც იმარჯვა და ეს ბევრად უფრო იოლად მოახერხა, ვიდრე წინა ჯერზე. ჩემპიონთა ლიდერმა ტიმ დანკანმა საუკეთესო თამაში ჩაატარა, ნიუორლეანელმა კრის პოლმა კი უარესი. მაგრამ პოლსაც რომ თავი დავანებოთ (მან მაინც გააკეთა 23 ქულა), სანანტონიოელებმა მოიშველიეს კოლოსალური საპლეიოფო გამოცდილება და ხელი არ გაანძრევინეს მეტოქეთა სხვა ლიდერებს — ვესტი 10 ქულას დააჯერეს, სტოიაკოვიჩს და ჩანდლერს კი შესაბამისად 6 და 2 ქულა ამყოფინეს.

საკითხავი ისაა, მეხუთე თამაშში მაინც თუ გატყდება ნავსი და მასპინძელი თუ „გაბედავს“ წაგებას.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნიუ იორკში რა გინდოდა

**2004-05 სეზონის** საუკეთესო მწვრთნელი მაიკ დანტონი ამიერიდან „ნიუ იორკ ნიქსს“ გაწვრთნის. პლეი ოფის პირველ წრეში „სან ანტონიოსთან“ 1:4 წაგების შემდეგ „ფინიქსში“ დაეცა დანტონის ნდობის ფაქტორი. მას კიდევ ორი წელი უნდა ემუშავა „სანზში“, მაგრამ შესთავაზეს — დაელაპარაკე სხვა კლუბებს და თუ წასვლას გადაწყვეტ, ჩვენ არ შეგაყოვნებთო.

დანტონის ორი გუნდი — „ჩიკაგო“ და „ნიუ იორკი“ ექაჩებოდა. მან ეს უკანასკნელი ირჩია, მიუხედავად იმისა, რომ „ნიუ იორკი“ ბოლო წლებში ჭაობიდან ვერ ამოდის და ბევრი მას განწირულად თვლის. ცხადია, დანტონის არჩევანის გაკეთებაში დაეხმარა ის 24 მილიონი, რომელსაც ნიუიორკელები მომდევნო 4 წელიწადში ჯამაგირის სახით შეპირდნენ.

## ჯონსონს კარლაილი შეცვლის

**აივერი ჯონსონის** დათხოვნის შემდეგ „დალასის“ შეფები მხოლოდ ერთ კანდიდატს უტრიალებდნენ და დირკ ნოვიცკის და კომპანიას მთავარ მწვრთნელადაც ის დაუნიშნეს. 48 წლის რიკ კარლაილი თავის საქმის ახალბედა ნამდვილად არაა, იგი ჯამში 6 წელი თავკაცობდა „დეტროიტსა“ (2001-02) და „ინდიანას“ (2003-06). 2002 წელს კოლეგათა შორის საუკეთესოდაც კი დაასახელეს, 2004 წლის პლეი ოფში კი მან „ინდიანა“ აღმოსავლეთის ფინალში გაიყვანა, სადაც სულ ცოტა დააკლდა მომავალ ჩემპიონ „დეტროიტის“ დასამარცხებლად.

ასე რომ, კარლაილის ცოდნა-გამოცდილება სავსებით შეესაბამება „დალასის“ ამბიციას და ახალ მწვრთნელს ბევრსაც მოსთხოვენ.






**2007 წელი,** 9 მაისი, დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალური სერიის მეორე შეხვედრა „იუტასა“ და „გოლდენ სტეიტს“ შორის: ფავორიტ „იუტას“ უჭირს „გოლდენ სტეიტის“ გატეხვა, რომელმაც მანამდე სენსაციურად დაჯაბნა და პლეი ოფიდან გააგდო რეგულარულის მომგები „დალასი“.

მასპინძლებს ხსნა პირდაპირი მნიშვნელობით ციდან მოევლინათ. მათმა მსროლელმა დერიკ ფიშერმა თამაშზე დააგვიანა. ის ნიუ იორკში იყო, სადაც მის გოგონას სამსაათიანი ოპერაცია გაუკეთეს და თვალზე სიმსივნური წანაზარდი მოკვეთეს. ფიშერს ცხადია არავინ გაკიცხავდა გაცდენისთვის, მაგრამ ის მაინც ჩაჯდა თვითმფრინავში, მთელ ქვეყანას გადაუფრინა და თამაშს ჩაუსწრო. დარბაზში რომ შევიდა, მესამე მეოთხედი სრულდებოდა. მსწრაფლ გასახდელს მიაშურა, გამოიცვალა და მეოთხე მეოთხედში უკვე მოედანზე თანაგუნდელთა გვერდით იდგა. ის დრამატული შეხვედრა ოვერტაიმში გადაიზარდა, სადაც ფიშერმა ხუთი ქულა ჩააგდო და „იუტას“ 127:117 აძლევინა „გოლდენ სტეიტი“. მაშინ ის გმირი იყო, იქ, სოლტ ლეიკ სიტიში დიდი და პატარა ეთაყვანებოდა...

რა გულმავიწყია ხალხი. უფრო კი ბევრის მომთხოვნი... იმ სეზონის დამთავრების შემდეგ ფიშერს „იუტადან“ წასვლა მოუხდა, რადგან სოლტ ლეიკ სიტიში მისი 10 თვის შვილის მკურნალობას ვერცერთ კლინიკაში ვერ შეძლებდა. დაბრუნდა „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“, სადაც თავისი 12-წლიანი კარიერის პირველი რვა წელი გაეტარებინა.

და აი, იმ შთამბეჭდავი დღიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ზუსტად 9 მაისს მან იმავე დარბაზში უკვე „ლეიკერსის“ მაისურით შეაბიჯა და „იუტა ჯაზის“ პირისპირ დადგა. უსტვინეს სოლტლეიკელებმა, უსტვინეს და, მერე როგორ. ბრაიანტზე მეტი ზიზღიანი „ბუუუ!“ ფიშერს დაანთხიეს (ბრაიანტს შტატების ვერცერთ ქალაქში ვერ იტანენ ლოს ანჯელესის გარდა).

„მე არ ველოდი თბილ სალამს, მაგრამ არც ამას ველოდი — ამბობდა ფიშერი ნამატჩევს — და მაინც, ერთი წლის წინანდელი 9 მაისი იმდენად ღირსსახსოვარი იყო ჩემს ცხოვრებაში, რომ დღევანდელი „ბუუ“ მას ვერ წამიშლის. მადლობა ღმერთს, ჩემი გოგონა დღეს უკეთაა და თანდათან ჯანმრთელდება.“

სოლტლეიკელების საქციელის ახსნა „იუტა ჯაზის“ გენ-მენეჯერმა კევინ ოკონოლმა ითავა — ფიშერი არა „ლეიკერსთან“, არამედ ნებისმიერ სხვა გუნდთან ერთად რომ ჩამოსულიყო, ხალხი მას ფეხზე წამოუდგებოდა, მაგრამ აქაურებს ყველაზე მეტად „ლეიკერსი“ ეზიზღებათ და მასაც ამიტომ გადასწვდნენო.

ასე იყო თუ ისე, გულშემატკივარი მაინც კმაყოფილი დაიშალა სახლებში, რადგან ვერც ფიშერის 13-მა და ვერც ბრაიანტის 34 ქულამ ვერ აზეირა მომხდურები. მასპინძელთა ლიდერმა კარლოს ბუზერმა წლევანდელ პლეი ოფში საუკეთესო მატჩი ჩაატარა და გასვლაზე ორჯერ დამარცხებულ „იუტას“ სერიის მესამე თამაშში სიცოცხლე დაუბრუნა. „ლეიკერსმა“ კი ექვსი მოგების შემდეგ პირველად წააგო და ფიშერი და მისიანები ტრაგედიად ნამდვილად არ აღიქვამენ ამ მარცხს.

**იმანე ქოზიაშვილი**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**გუშინ** გამოქვეყნებულ პროფესიონალ ჩოგბურთელთა მორიგ რეიტინგებში ერთბაშად სამი ქართველია კარიერის უმაღლეს პოზიციაზე — ანა ტატიშვილმა, სოფო შაფათავამ და სოფო ქვაცაბაიამ კლასიფიკაციის, შესაბამისად, 261-ე 338-ე და 675-ე საფეხურებს უწიეს.

მთლიანობაში, რეიტინგებში კვლავაც 14 ქართველია მოხსენიებული — ოთხი კაცი და ათი ქალი. ხსენებული სამეულის პროგრესის გარდა, სათქმელია ოქსანა კალაშნიკოვას უკან დახევის ამბავიც — მან, ერთბაშად 68 პოზიცია დაკარგა.


სოფო ქვაცაბაია

ანა ტატიშვილს კი აქვს შანსი, კიდევ უფრო წინ წაიწიოს. ამ კვირაში ის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ კაროლინას ქალაქ როლის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეშია და წარმატების შემთხვევაში, რეიტინგის კიდევ რამდენიმე პოზიციას მოიგებს. იქვე თამაშობს სალომე დევიძეც, ოღონდაც ის საკვალიფიკაციო ეტაპზეა და პირველ წრეში ვეტერან ამერიკელს, 34 წლის ურეიტინგო მერლინ ბეიკერს შეხვდება.

ამ კვირაში ქვაცაბაიაც თამაშობს. სოფო ესპანური ბარსელონას თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეშია.

| | |
|---|---|
| **კაცები** | |
| 460(+12) ლადო ჩიხლაძე | 62 |
| 1221(-1) ნოდარ ითონიშვილი | 4 |
| 1567(+3) გიორგი ჭანტურია | 1 |
| 1764(+1) გიორგი ხრიკაძე | 1 |
| **ქალები** | |
| 183(-4) მაკა ჩახნაშვილი | 163 |
| 261(+15) ანა ტატიშვილი | 101 |
| 228(+2) სოფო შაფათავა | 65 |
| 522(+2) თინა ყავლაშვილი | 30 |
| 594(-1) სალომე დევიძე | 23 |
| 612(-2) მანანა შაფაქიძე | 22 |
| 664(-68) ოქსანა კალაშნიკოვა | 18 |
| 675(+18) სოფო ქვაცაბაია | 18 |
| 821(+5) ეკა გორგოძე | 10 |
| 974(+3) სოფო მელიქიშვილი | 5 |

## კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 6825 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5435 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 5125 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3290 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 2780 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 2410 |
| 7. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 2115 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2055 |
| 9. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1660 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 1545 |
| 11. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1490 |
| 12. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1440 |
| 13. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1410 |
| 14. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1410 |
| 15. ხუან მონაკო (არგენტინა) | 1405 |
| 16. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 1400 |
| 17. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 1395 |
| 18. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 1385 |
| 19. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1370 |
| 20. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1340 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 476 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 410 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 290 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 275 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 213 |
| 6. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 189 |
| 7-8. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) | 181 |
| 7-8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 181 |
| 9. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი) | 178 |
| 10. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) | 169 |
| 11. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 144 |
| 12. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 142 |
| 13. რადეკ შტეფანეკი (ჩეხეთი) | 130 |
| 14. მარდი ფიში (აშშ) | 122 |
| 15. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 118 |
| 16-17. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 111 |
| 16-17. მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) | 111 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 109 |
| 19. იგორ ანდრეევი (რუსეთი) | 107 |
| 20-21. სემ ქუერეი (აშშ) | 106 |
| 20-21. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 106 |

## ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 5695 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3986 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3922 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3755 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3605 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2836 |
| 7. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 2670 |
| 8. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2596 |
| 9. ვინუს უილიამსი (აშშ) | 2516 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2257 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2178 |
| 12. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1915 |
| 13. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1742 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1732 |
| 15. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1712 |
| 16. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 1508 |
| 17. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1434 |
| 18. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1245 |
| 19. ვიქტორია აზარენკო (ბელარუსი) | 1189 |
| 20. ფრანჩესკა შიავონე (იტალია) | 1186 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2060 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1670 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1625 |
| 4. სერენა უილიამსი (აშშ) | 1565 |
| 5. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1262 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1186 |
| 7. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 1170 |
| 8. ჟუსტი ენინი (ბელგია) | 1060 |
| 9. აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 862 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 833 |
| 11. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 786 |
| 12. ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 625 |
| 13. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) | 592 |
| 14. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 583 |
| 15. ვინუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 16. ნა ლი (ჩინეთი) | 565 |
| 17. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 525 |
| 18. აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 522 |
| 19. ელიზ კორნე (საფრანგეთი) | 519 |
| 20. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) | 514 |

# ჯოკერი თიხაზეც ჭრის
## ყველაზე ბედნიერი დინარა

**ჯანზე** მყოფი ნოვაკ ჯოკოვიჩი ნებისმიერ საფარზე ფავორიტთა შორის მოიხსენიება. სერბმა დაამტკიცა, რომ თიხნარზეც ისევე ყოჩაღად ჩოგნაობს, როგორც ამას წლეულს ჰარდზე აკეთებდა. ბალკანელმა კვირას რომში იპირველა, რაც მისთვის მესამე საკარიერო მასტერსი გამოდგა.

ისე, ტყუილად არ დაგვიწყია ჯოკოვიჩის ჯანმრთელობაზე საუბრით — ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ სერბი პერმანენტულად ავადმყოფობს. ათიოდ დღის წინ მან სწორედ ამის გამო ვერ შეძლო მონტე კარლოს ნახევარფინალში როჯერ ფედერერთან თამაშის დასრულება. ნოვაკი არც იტალიის დედაქალაქს ეწვია მთლად ჯანზე, მაგრამ წლეულს პირველი საგრუნტო ტიტულის მოგებაში მას ვერც გაციებამ შეუშალა ხელი.

რაფაელ ნადალის ტურნირიდანნაადრევად გავარდნის შემდეგ ბევრი ფავორიტად ფედერერს უფრო მოიაზრებდა. მით უმეტეს, რომ სეზონის სათიხნარო ნაწილში ალპელი კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ „მხიარულმა როჯერმა" ჯოკოვიჩამდე ველარც მიაღწია, რადგანაც მანამდე რადეკ შტეპანეკმა მიჩოგნა.

ამის მიუხედავად, სერბს ჩემპიონობამდე შვეიცარიელის დამარცხება მაინც დასჭირდა, ოღონდ ფედერერის მაგივრად ბალკანელს წინ სტანისლას ვავრინკა გადაუდგა. ფინალს ერთიც და მეორეც დასვენებულები შეხვდნენ — შტეპანეკმა ჯოკოვიჩს მხოლოდ სეტი გაუძლო და შემდეგ თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა, ენდი როდიკს კი კიდევ უფრო ნაკლები დასჭირდა კაპიტულაციისთვის და ვავრინკასთან მატჩის დაწყებიდან 10 წუთში გამოფინა თეთრი დროშა. ამიტომაც ფინალში უკომპრომისო ბრძოლა იყო მოსალოდნელი და მეჩოგნეებმაც მაგრად იომეს, რითაც იტალიელი მაყურებელი გვარიანდ ასიამოვნეს.

პირველად ვავრინკამ ივარგა და მეხუთე გეიმში ბრეიკის გაკეთების შემდეგ ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. თუმც ჯოკოვიჩმა შეძლო მატჩის ჩარხის სათავისოდ შეტრიალება და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ სეტში კი თავიდანვე დაწინაურდა და ალპელს მიახლოების საშუალება აღარ მისცა.

„კმაყოფილი ვარ საკუთარი გამოსვლით. ამ დონის ტურნირებზე სტაბილურად მაღალ დონეზე თამაში იოლი საქმე არ არის, მაგრამ ვცდილობ, ამას მივაღწიო და, მგონი, თანდათან გამომდის კიდეც" — განაცხადა ნამატჩევს ჩემპიონმა.

ჯოკოვიჩისთვის ეს მე-10 საკარიერო ტიტული გახლავთ. გარდა ამისა, ნოვაკმა ამ გამარჯვებით 500 სარეიტინგო ქულა ჩაიწერა და ბოლო წლების უცვლელ მეორე ნომერ ნადალს ფაქტობრივად ხელის გაწვდენაზე მიუახლოვდა — ესპანელსა და სერბს მხოლოდ 310 ქულა აშორებთ.

გვარიანად წინ წაიწია ვავრინკამაც, რომელმაც 44-ე საფეხურიდან უცბად მე-10-ზე აინაცვლა. პირველად მოხდა, რომ ტოპათეულში ერთაბაშად ორი შვეიცარიელია (მეორე, უფრო სწორად პირველი, რა თქმა უნდა, ფედერერია).


დინარა საფინა

ქალები კი წინა კვირას ბერლინში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სადაც წმინდა რუსული ფინალი შედგა. ერთმანეთს დინარა საფინა და ელენა დემენტიევა დაეტაკნენ. თუმც ენა არავის მოუბრუნდება თქვას, ფინალში რომელიმე დაუმსახურებლად გავიდაო, რადგანაც გზად ორივემ ერთად ტოპათეულის ოთხი წარმომადგენელი შეიწირა. საფინამ ქალთა ჩოგბურთის ისეთი მონსტრები დააჩოქა, როგორებიც ჟუსტინ ენინი და სერენა უილიამსი (არადა, უმცროს შავდას აქამდე ზედიზედ 17 მატჩი მოეგო) არიან. არანაკლები გმირობა ჩაიდინა დემენტიევამაც, რომელმაც სერბი ბობოლები — ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი — გაამწარა.

ამდენი გმირობის შემდეგ გასაკვირი არაა, რომ საფინაც და დემენტიევაც ფინალში ბოლომდე საომრად იყვნენ მზად. შეხვედრა მართლაც ძალიან დაძაბული და მშვენიერი საცქერი გამოდგა, რომელშიც საბოლოოდ მაინც საფინამ იყოჩაღა. დინარას უფრო უნდოდა, უფრო სჭირდებოდა ეს გამარჯვება — დემენტიევასგან განსხვავებით, მას ხომ ამ დონის ტურნირი აქამდე არასოდეს მოეგო. ჰოდა, საფინამ სწორედ ამ არნახული მოტივაციის ხარჯზე შეძლო არცთუ სახარბიელოდ დაწყებული მატჩის თავისკენ შემობრუნება, რითაც კარიერაში მეექვსე ტიტული გაინაღდა.

„მეშინია, ხვალ რომ გავიღვიძებ, ეს სიზმარი არ გამოდგეს. ამ დონის ტურნირზე გამარჯვება ჩემთვის სიახლეა, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ გზად ჟუსტინის და სერენას დამარცხება შევძელი. ამწუთას დედამიწაზე ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ" — ნამატჩევს ემოციებს ვერ მალავდა საფინა.

**ბაჩა ლომაძე**

რაგბი

# ბზიკებმა კბენა ისწავლეს

**თუ** აქამდე ჩვენი შვიდქალა ნაკრები მეზობელ აზერბაიჯანელ დიაცებთან რაგბობით ერთობოდა, ახლა ზურაბ დუგლაძის გაწვრთნილმა „ბზიკებმა“ ნაღდი რაგბი დააგემოვნეს და ბოსნიურ ზენიცაში მათთვის პირველ სერიოზულ ტურნირზე გამოიცადნენ.

ზენიცაში ევროპული სერიის ერთ-ერთი ეტაპი ჩატარდა, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპიცაა. ჩვენმა ქალებმა 12 ნაკრებში მე-10 ადგილი კი დაიკავეს, მაგრამ სადებიუტო ევრორაგბობისთვის თავი ნაღდად არ შეურცხვენიათ.

12 ნაკრები ორ ექვსგუნდა ჯგუფად დაიყო. ქართველები ჯგუფში ავსტრიის, ისრაელის, ხორვატიის, რუმინეთისა და მასპინძელ ბოსნიის ნაკრებებთან მოხვდნენ. ჯგუფში ერთადერთი გამარჯვება ჩვენებმა სწორედ მასპინძლებთან მოიპოვეს, დანარჩენი მატჩები კი წააგეს.

ერთი მოგებით „ბზიკებმა“ მე-9 ადგილისთვის ბრძოლა განაგრძეს და ჯერ სლოვენიელები „დაკბინეს“ 31:0, მერე კი სერბებთან წააგეს და საბოლოოდ, როგორც ვთქვით, მე-10 ადგილი დაიკავეს.

**ბაჩო სვანიძე**

**საქართველო ზენიცაში**

ჯგუფური ეტაპი

საქართველო 10:34 ავსტრია
საქართველო 7:42 ისრაელი
საქართველო 14:0 ბოსნია
საქართველო 7:15 ხორვატია
საქართველო 0:50 რუმინეთი

მე-9 ადგილისთვის

საქართველო 31:0 სლოვენია
საქართველო 0:20 სერბეთი

## ზე-14 2008

# ჯვაროსნული ლაშქრობა გრძელდება

**ნათან შარპის** კაპიტნობით ავსტრალიური „ფორსი“ ამაოდ ჩავიდა ახალ ზელანდიაში „ჰარიკანზთან“ ქულების ასართმევად. სტუმართა მთავარ ვარსკვლავ მეტ გიტუსაც მიზანი სწორედ იმ დღეს აერია. მან საწყის წუთებში ორი ადვილად დასარტყმელი საჯარიმო გააფუჭა. მასპინძლებსაც მეტი რა უნდოდათ. გადაჭედილი ტრიბუნებით გამხნევებულებმა შეტევა შეტევაზე მოუწყეს „დასავლურ ძალას“. პირი ვეეპუს კი გიტუს მსგავსად არ აუცდენია საჯარიმოები. მის ანგარიშზე სამი ზუსტი საჯარიმო და ერთიც გარდასახვაა, ხოლო მასპინძელთაგან სალელოვედ ჰოსეა გირი და მორკინალი ენდრიუ ჰოლი გაისარჯნენ. ფორსელები კი კამერონ შეპარდის კინკილა ლელოს და გიტუს გარდასახვა-საჯარიმოს დასჯერდნენ.

ხუთი ლელო გაუტანა „შარკსმა“ სახლში „ჩიტაზს“. ხუთიდან სამის ავტორი სამხრეთაფრიკელთა მორკინალი ჯაკობს ბოთსი გახდა, ხოლო ორჯერ სალელოვედ ოდვა ნდუნგანე გაისარჯა. საუკეთესოდ, რა თქმა უნდა, ბოთსი აღიარეს. მან ჰეთ თრიქის გარდა კოლოსალური სამუშაო გაწია და გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

„კრუზეიდერზი“ კი შინ და გარეთ იგებს. თანაც „ჯვაროსნებს“ დენ კარტერიც დაუბრუნდათ. იგი შეცვლაზე შევიდა და ლელოთი შეეწია თანაგუნდელებს. „ჯვაროსანთა“ სათადარიგო 10 ნომერი სტეფან ბრეტიც არ არის ცუდი ბიჭი, მაგრამ კარტერის ყოფნა მოედანზე სულ სხვა ელფერს სძენს გათამაშების ლიდერთა რაგბობას. ამჯერად „კრუზეიდერზი“ „რედზს“ დაეცა გასვლაზე და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

**ზურაბ მიგრიაული**



ჰარიკანზი 21:10 ფორსი
ბულზი 2&17 ბრამბიზი
ჰაილენდერზი 15:40 ბლუზი
რედზი 21:27 კრუზეიდერზი
შარკსი 33:14 ჩიტაზი
ლაიონზი 33:27 ჩიფსი
შტორმერზი 13:13 ვარათაზი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეიდერზი | 12 | 11 | 0 | 1 | +205 | 8 | 52 |
| ჰარიკანზი | 12 | 8 | 1 | 3 | +108 | 6 | 40 |
| ვარათაზი | 12 | 8 | 1 | 3 | +62 | 5 | 39 |
| შტორმერზი | 12 | 7 | 1 | 4 | +49 | 7 | 37 |
| შარკსი | 12 | 8 | 1 | 3 | +40 | 3 | 37 |
| ბლუზი | 12 | 7 | 0 | 5 | +85 | 8 | 36 |
| ჩიფსი | 12 | 7 | 0 | 5 | +21 | 6 | 34 |
| ბრამბიზი | 12 | 6 | 0 | 6 | -33 | 4 | 28 |
| ფორსი | 12 | 6 | 0 | 5 | -38 | 4 | 28 |
| ბულზი | 12 | 5 | 0 | 7 | -63 | 3 | 23 |
| რედზი | 12 | 3 | 1 | 8 | -58 | 3 | 17 |
| ჰაილენდერზი | 12 | 2 | 0 | 10 | -93 | 7 | 15 |
| ჩიტაზი | 12 | 1 | 0 | 11 | -134 | 9 | 13 |
| ლაიონზი | 12 | 2 | 1 | 9 | -152 | 2 | 12 |

მძლეოსნობა

# რედკლიფს პეკინი არ აშინებს

**ოლიმპიადამდე** ორიოდ თვეღა რჩება და პეკინიც გამალებით ემზადება ჩინეთის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური სპორტული ღონისძიებისთვის. ასაშენებელი თითქმის ყველაფერი ააშენეს, მაგრამ ჩინელებს ერთი უზარმაზარი პრობლემა აქვთ, რომლის მოგვარება გაცილებით ძნელია, ვიდრე, ვთქვათ, საცურაო აუზის აშენება, ანაც იქამდე ფართო გზის გაყვანა. რა უნდა მოუხერხონ დაბინძურებულ ჰაერს? აი, ამის თაობაზე კი ჩინეთის დედაქალაქში სასიკეთოს ვერაფერს ამბობენ. 9-მილიონიანი პეკინის მრავალი სტუმარი იქაურ ბუნებრივ პირობებს პირდაპირ ეკოლოგიურ კატასტროფად მოიხსენიებს. მარათონულ დისტანციაზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენმა ჰაილე გებრსელასიემ კარგა ხნის წინ იუარა პეკინის ქუჩებში სირბილი, აღარ მინდა მარათონი, ისევ სტადიონზე ვირბენ 10 კილომეტრსო. მანქანების გამონაბოლქვით გაჯერებულ ქუჩებში სირბილზე უარი კიდევ არაერთმა ცნობილმა მარათონელმა განაცხადა. მაგრამ მგლის შიშით ცხვარი არც ჩინეთში გაწყდება და პეკინის ქუჩებსაც გამოუჩნდა დამცველი. ქალთა შორის მარათონების მსოფლიო რეკორდსმენი, ბრიტანელი პოლა რედკლიფი გამოექომაგა პეკინს, რა გააჭირეთ საქმე, ნურც ეგრე შავ ფერებში ხატავთ სურათსო — „თუ სიმართლე გინდათ, ჩემი აზრით, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე მთელი ეს საუბრები ძალზე გადამეტებულია. სპორტსმენებს უფრო მეტად უნდა აწუხებდეთ სიცხე და ჰაერის ტენიანობა. მე არაერთხელ მომიწია ეკოლოგიურად დაბინძურებული ქალაქის ქუჩებში სირბილი, მაგალითად, ათენში და ატლანტაში და ვიცი, რომ ეს „სასიკვდილო“ არაა. ბევრი-ბევრი, გარბენის შემდეგ თვალები აგიცრემლიანდეს და ცოტა ხმა ჩაგეხრინწოს“ — თქვა რედკლიფმა.




**ივანე კობიაშვილი**

ხელბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ფინალი. მეორე მატჩი

# სიუდადმა კილი ფსკერზე დასვა



**ესპანურმა** „სიუდადმა“ პატარა გმირობა ჩაიდინა და ხელბურთელთა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ფინალურ შეხვედრაში გერმანული „კილი“ მისსავე მოედანზე თავისთვის სასურველი ანგარიშით 31:25 დაამარცხა. მადრიდში წაგებული (27:29) თამაშის შემდეგ ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ პირინეელები ჩემპიონთა ლიგის მოგებას მოახერხებდნენ, თუმცა ესპანელებმა გასაოცარი შემართებით ჩაატარეს მთელი მატჩი და შარშანდელ ჩემპიონს სანუკვარი ჯილდო ცხვირწინ ააცალეს.

„სიუდადი“ შარშანწინდელი გამარჯვებულია და ერთწლიანი შესვენების მერე ისევ გახდა საუკეთესო ევროპული გუნდი, თანაც ისე, რომ ლამის ევროპის ნაკრების მქონე შემადგენლობის პატრონ „კილს“ 10 ათასი გიჟმაჟი გულშემატკივრის თანდასწრებით გამოუყვანა წირვა. გამარჯვებულთაგან საუკეთესონი ოლაფ სტეფანსონი და იონას კალმანი იყვნენ, რომლებმაც წყვილად 23 გოლი გაიტ[illegible]ნეს.

**ლექსო მაისურაძე**

# პატარების სამი მარცხი

**საქართველოს** ხელბურთელთა 18-წლამდელთა ნაკრებმა ჩეხეთის ქალაქ ბრნოში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის სამი თამაში ჩაატარა და სამივე უშანსოდ, დიდი ანგარიშით წააგო. ხორვატიასთან 6:51 წაგებას ბელგიასთან 15:41 და ნორვეგიასთან 11:56 დამარცხება მოჰყვა. ჩვენი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე, რომელიც 8-17 აგვისტოს ჩეხეთში გაიმართება, ხორვატია და ნორვეგია ითამაშებენ.

**ლექსო მაისურაძე**

ჭადრაკი

## M-TEL მასტერსი

სოფია. ბულგარეთი. 7-18 მაისი

IV ტური

| | | |
|---|---|---|
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 1:0 | ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) |
| ბუ სიანცჟი (ჩინეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |




# ივანჩუკის ოთხში ოთხი

**ვასილ ივანჩუკმა** ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა. იგი უკვე ქულანახევრით უსწრებს მთავარ მოწინააღმდეგეს და თუ ასე გააგრძელა, ტურნირს ვადაზე ადრეც მოიგებს.

მეოთხე ტურში ვასილმა თეთრი ფიგურებით მასპინძელი ივან ჩეპარინოვი დაამარცხა.

დიდოსტატებმა დებიუტში ძველინდური დაცვა გაითამაშეს. ივანჩუკმა ცენტრში სამი პაიკი გამოიყვანა, უკან მხედრები ამოუყენა და მეტოქეს ლაზიერის ფლანგიდან დაარტყა. უკრაინელმა იერიშისთვის ლაზიერ-ეტლის დუეტი გაამზადა, თუმც ჩეპარინოვმა დ[illegible]სწრო და ხელმწიფის ფლანგიდან მსუბუქი ფიგურებით მიაწვა. ივანჩუკმა გაცვლებს მიმართა, შავ ფიგურებს სათამაშო გზები მოუსპო და მე-40 სვლაზე დაამარცხა.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | |
|---|---|
| 1. ვასილ ივანჩუკი | 4 |
| 2. ვესელინ ტოპალოვი | ,5 |
| 3. თეიმურ რაჯაბოვი | 1,5 |
| 4. ივან ჩეპარინოვი | 1,5 |
| 5. ლევონ არონიანი | 1,5 |
| 6. ბუ ქსიანცჟი | 1 |

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი




„მაკლარენის" მექანიკოსებმა პიტსტოპებისას ოპერატიულად იმუშავეს

# ასპროცენტიანი ჰემილტონი

კვირას „ისტანბულ პარკის" ავტოდრომზე გამართული „თურქეთის დიდი პრიზის" ბედი ბევრწილად იმან გადაწყვიტა, რომ „მაკლარენის" ლუის ჰემილტონი, სხვა ფავორიტებისგან განსხვავებით, სამჯერ შევიდა ბოქსებში საბურავების შესაცვლელად. სწორედ მესამე პიტ-სტოპზე შესვლის გამო დაუთმო ინგლისელმა ლიდერობა „ფერარის" ფელიპე მასას და ბრაზილიელმაც ზედიზედ მესამედ იმარჯვა სტამბოლში.

როგორც მოგვიანებით ცნობილი გახდა, სამპიტსტოპიანი ტაქტიკა ფორმულა I-ისთვის საბურავების მიმწოდებელი „ბრიჯსტოუნის" ინჟინრებს პირადად შეუთავაზებიათ ინგლისელისთვის და ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ჯერ კიდევ პარასკევს ანუ თავისუფალი პრაქტიკისას, ჰემილტონის ბოლიდს წინა მარჯვენა ბორბალი დაუზიანდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ წინა მარჯვენა ბორბლის პრობლემები ჰქონდა ჰემილტონს შარშანდელ „თურქეთის დიდ პრიზზეც" და, რადგანაც იგივე წლეულსაც მეორდებოდა, „ბრიჯსტოუნმა" თავი დაიზღვია და ლუისს სამპიტსტოპიანი ტაქტიკა შესთავაზა.

„წლეულს მსგავსი პრობლემები არც ერთ მრბოლს არ ჰქონია. გამონაკლისი მხოლოდ ჰემილტონია" — გაკვირვებულმა განაცხადა „ბრიჯსტოუნის" წარმომადგენელმა.

თავად ჰემილტონი, მიუხედავად იმისა, რომ მასას გადასწრება ვერ შეძლო, უაღრესად კმაყოფილი დარჩა თურქული რბოლით და მას კარიერაში საუკეთესო უწოდა. „დღევანდელი შედეგით უაღრესად კმაყოფილი ვარ.. ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო რბოლა იყო და ეს, მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვება ვერ მოვიპოვე. ამ წუთას გამარჯვებაზე არც არის ლაპარაკი. მთავარი ის გახლავთ, რომ მე მთელი ასი პროცენტით გამოვიყენე როგორც მანქანის, ისე საკუთარი შესაძლებლობები.

რბოლის წინ ვვარაუდობდით, რომ თუ ყველაფერი კარგად წარიმართებოდა, პირველ ხუთეულში უნდა ვყოფილიყავი, ამიტომაც მეორე ადგილით უაღრესად კმაყოფილი ვარ. გუშინ კვალიფიკაციისას, კონკურენტუნარიანი არ ვიყავი, დღეს კი მანქანამ ბრწყინვალედ იმუშავა.

სამ პიტ-სტოპს რაც შეეხება, ეს თავიდანვე იყო დაგეგმილი, რადგანაც საბურავებთან დაკავშირებით პრობლემები შეგვექმნა. მიუხედავად ამისა, მთელმა გუნდმა იდეალურად იმუშავა, პიტ-სტოპები მაქსიმალურად სწრაფ ტემპში მოხერხდა და ზოგადადაც მჯერა, რომ ჩვენი ჩამორჩენა „ფერარისთან", უკვე კატასტროფული აღარ არის. ახლა მოუთმენლად ველი შემდეგ რბოლას მონტეკარლოში და მჯერა, იქ ყველაზე სწრაფი ვიქნები" — განაცხადა პრესკონფერენციაზე ლუის ჰემილტონმა.

**კახა ლომაძე**

# სტუდენტები გლდანიდან იწყებენ

13-26 მაისს, თბილისში „უნივერსიადა 2008" ჩატარდება. 21 აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებელი მიიღებს მონაწილეობას (11 სახელმწიფო უნივერსიტეტი და 10 კერძო). შეჯიბრებები 11 სახეობაში მოეწყობა. სტუდენტები ცურვაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძიუდოში, ჭადრაკში, მინი-ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ფრენბურთში, შვიდკაცა რაგბიში, ქუჩის კალათბურთში, ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში გამოცდიან ძალებს. სულ, დაახლოებით, ათასამდე ახალგაზრდა იასპარეზებს. უნივერსიადა 13 მაისს, გლდანის ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში ძიუდოისტთა შეჯიბრით გაიხსნება და 24 მაისს მინი-ფეხბურთის ფინალური მატჩით დაიხურება. უნივერსიადასთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გია გალდავამ ისაუბრა.

*გია გალდავა:* ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უნივერსიადა მაღალ დონეზე ჩატარდეს. ვფიქრობ, მომავალ წელს მონაწილეთა რაოდენობა გაორმაგდება და შეჯიბრებები უფრო ფართო მასშტაბებს მიიღებს. ასევე, უნივერსიადაზე ისეთი სახეობები იქნება, რომლებშიც მოყვარულებიც გამოვლენ.

**ზურაბ მიგრიაული**



## NHL პლეი ოფი ნახევარფინალი

### აღმოსავლეთი

**პიტსბურგი 4:2 ფილადელფია**

*1:0 1:2 2:0*

*სერია პიტსბურგს მიჰყავს 2:0*

1:0 კროსბი (11, უმრ. გონჩარი), 1:1 კარტერი (26, უმრ. ლუპული, მოდრი), 2:1 ჰოსა (34, უმრ. მელოუნი, გონჩარი), 2:2 რიჩარდსი (40, უმც. უასისტენტოდ), 3:2 ტელბოტი (49, რობერტსი, ლარაკი), 4:2 სტაალი (60, ცარ. კარში, კროსბი, გონჩარი)

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

#### II ჯგუფური ეტაპი

**E ჯგუფი**

**შვედეთი 5:3 ჩეხეთი**

*0:0 2:2 3:1*

1:0 სტროლმანი (27), 1:1 ელიაში (31), 2:1 ნილსონი (34), 2:2 კოტალიკი (39), 3:2 ვეინჰ ანდლი (42), 3:3 ფლეიშმანი (50), 4:3 ჰ ერნკვისტი (56), 5:3 ნილსონი (60)

**დანია 2:7 შვეიცარია**

*0:2 0:3 2:2*

0:1 ამბიული (3), 0:2 ჟანინი (4), 0:3 რაიხერტი (21), 0:4 პატერლინი (32), 0:4 დიპიეტრო (34), 0:6 ფიურერი (42), 1:6 მადსენი (44), 2:6 სტოლი (46), 2:7 ფორსტერი (47)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 16:10 | 10 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 1 | 20:14 | 9 |
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 2 | 23:16 | 9 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 0 | 1 | 13:10 | 9 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 2 | 11:15 | 2 |
| დანია | 0 | 0 | 0 | 4 | 6:24 | 0 |

**F ჯგუფი**

**ნორვეგია 1:4 ლატვია**

*1:2 0:1 0:1*

0:1 ციპულისი (12), 1:1 სპეტსი (13), 1:2 ვასილიევსი (18), 1:3 რედლიხსი (23), 1:4 დარზინში (60)

**ფინეთი 3:2 აშშ**

*0:0 0:2 3:0*

0:1 ჯილბერტი (22), 0:2 კესელი (40), 1:2 კოისტინენი (43), 2:2 სელიანე (41), 3:2 მ. კოივუ (57)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 4 | 0 | 0 | 0 | 24:6 | 12 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 0 | 13:6 | 11 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 2 | 16:12 | 6 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 1 | 2 | 7:11 | 4 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 3 | 5:14 | 3 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 4 | 8:24 | 0 |

შენიშვნა: *I გრაფა — მოგება ძირითად დროში; II გრაფა — მოგება ოვერტაიმში; III გრაფა — წაგება ოვერტაიმში; IV გრაფა — წაგება ძირითად დროში; V გრაფა — შაიბების სხვაობა; VI გრაფა — ქულები*

*გუნდებს გადმოყოლილი აქვთ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულები*



### 91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

#### I ეტაპი

**პალერმო. 23,5 კმ გუნდური რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. სლიპსტრიმი (აშშ) | 26 წთ 32 წმ |
| 2. CSC (დანია) | +6 წმ |
| 3. ჰაი როადი (აშშ) | +7 |
| 4. ლიქუიგასი (იტალია) | +9 |
| 5. ბარლვორლდი (ბრიტანეთი) | +14 |

#### II ეტაპი

**ცეფალუ — აგრიჯენტო. 207 კმ**

| | |
|---|---|
| 1. რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 5 სთ 48 წთ 35 წმ |
| 2. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | |
| 3. დავიდ რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") | |
| 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი") | |
| 5. პაოლო სავოლდელი (იტალია, LPR) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიქუიგასი") | 6 სთ 15 წთ 16 წმ |
| 2. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „სლიპსტრიმი") | +1 წმ |
| 3. კრის ანკერ სორენსენი (დანია, CSC) | +7 |
| 4. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | +7 |
| 5. მორის პოსონი (იტალია, „ჰაი როადი") | +8 |



რიკარდო რიკოს ფინიში

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge